ყოვლად სამღვდელო

რომის კათოლიკეთა, ტირასპოლის ეპარხიის ეპისკოპოსი

ედუარდ ბარონ-დე როპპი

და

მისი მოგზაურობა საქართველოში

თავისი საკუთარი მარშრუტის დამატებით

აქავე მოთავსებულია

გათოლმის ქართველ-კათოლიკეთა,

ზუბალაშვილის ეკკლესიის კურთხევა ცერემონიითურთ მოკლეთ, სურათებით.

შედგენილი და გამოცემული

მესხის კონსტანტინე გვარამაძის მიერ

37200

СССР Академия наук СССР
акад. И. Гришашвили
Библиотека-Музей имени Акад. И. Гришашвили

თბილისი
ქართველთა წიგნების გამომცემელ ამხანაგობის სტამბა, ვანქის ქუჩა.
1903

Дозволено цензурою 11 августа 1903 г., гор. Тифлисъ.

ყოვლად უსამღვდელო ტირასპოლის რომის კათოლიკეთ ეპისკოპოსი

ედუარდ გარონ-დე როპპი.

ყოვლად სამღვდელო

რომის კათოლიკეთა, ტირასპოლის ეპარხიის ეპისკოპოსი

ედუარდ ბარონ-დე როპპი

და მისი მოგზაურობა საქართველოში.

ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსი ედუარდი ბარონ-დე როპპი გერმანელთა ტომისაა, ოსტზეის მხრიდგან, ბარონის გვარისა. უნივერსიტეტი დამთავრებული აქვს იურიდიულ ფაკულტეტზე; იგი ფილოსოფიის დოქტორია და უფლებათა კანდიდატი; დაიბადა 2 ქრისტიშობის თვეს, 1851 წ. სოფ. ლიქსნაში, ვიტებსკის გუბერნიაში. მამა მისი იული, ბარონი თავად-აზნაურთა წინამძღვარი იყო; დედა—იზაბელა-კი გრაფინია პლატეზჰიბეჰრგის ასული იყო (ბებერა პოლონელი ჰყოლია).

პირველ დაწყებითი სწავლა პატარა ედუარდს სახლში, დედ-მამასთან მიუღია; შემდეგ-კი საზღვარ გარედ, ფრაიბურჰგში (მდ. რეინის ნაპირზეა). გიმნაზია რიგაში შეასრულა, ხოლო უნივერსიტეტი პეტერბურგში, 1874 წ. ამდროს, აქავე შევიდა პირველად სამსახურში, ოლქის სასამართლოში, ერთხანად პროკურორათაც ითვლებოდა აქ; შემდეგ გადავიდა სახელმწიფო ქონებათა სამინისტროში. 1874 წ. დაეთხოვა თავის სრულის ნებით სამსახურსა და მიიმართა სახლში, თავის საკუთარის მამულების შესავლელად; მართავდა ერთხანად ამასაც, თითქმის შვიდ წელიწადს, შემდეგ კი შეიცვალა აზრი და სასულიერო წოდება აღუთქვა. შევიდა კოვნოს კათოლიკეთა სემენარიაში სასწავლებლად; იქ დაჰყო ორ წელს და კიდეც შეასრულა 1886 წ., როდესაც ეკურთხა მღვდლათაც. ახალი ნაკურთხი სა-

ზღვარ-გარეთ გავიდა პატარა ხანს;—მალე ლიბავაში დანიშნეს წინამძღვათ (настоятелемъ), და შემდეგ დეკანოზათაც—კურლანდიასა. მისმა ენერგიულმა და მუყაითმა სასულიერო წოდებაზედაც სამსახურმა მალე კანონიკობაც შესძინა, რომელიც დანიშნეს სამოგიცკაში. ენერგიანი და ნიჭიერი კანონიკი ედუარდი, ბოლოს დააჯილდოვეს თავისი რიგიანი სამსახურობისათვის მღვდელმთავარის წოდების მინიჭებით. ამ უმაღლესს ადგილზე კანდიდატობა უბოძეს 9 აპრილს 1902 წ.; 3 ნოემბერს-კი, იმავე 1902 წ., მათ უსამღვდელოებას მიანიჭეს მწყემს-მთავრის ხარისხი და იმ წამიდგანვე ტირასპოლის ეპისკოპოსის, ანტონ ცერრის მოადგილეთ დანიშნეს.

51 წლის ეპისკოპოსი ედუარდი—თუმცა მოხუცი არაა, მარა მისი ჭაბუკი შეხედულობა, 35 წლის ყმაწვილ კაცს მოგაგონებთ; იგი ვაჟკაცურის შესახედავი კაცია კიდევ, მეტად ცოცხალი და დაუზარელი. ის მეტათ დიდი ჭკუისაც უნდა იყოს, რასაც ცხადათ გვისარკვევებს მისი დალაგებული ქცევა და მართვა... არის მჭევრმეტყველი და მასთან დიდათ დაკვირვებული და შორმხედველი; ამასთანავე არის პირადი; დაფარული და დაზეწრული-კი არა უყვარს-რა... სულ ნათელი და ცხადი ურჩევნია მას ყველაფერში... მათ სამდვდელოებას ბევრ საუკეთესო თვისებებთან ერთათ თავდაბლობა, სულგრძელობა და მოთმინებაც ეტყობა, რაიცა, მაგალითებით გვიჩვენა ყველა ეს... არის შრომის მოყვარეცა. ეს, უკანასკნელი თვისება ცხადათ გვიჩვენა მან, როდესაც ის საახსარებოთ დაჯდებოდა ხოლმე შეუფერებელ ადგილებზე: ხან ეკლესიის კარებთან და კედლებთან მიკუნჭული და ისე ათქმევინებდა ხოლმე; მერმე და ხანგძლივ, სამ-ოთხ საათობით, შეუსვენებლივ და სხვა ამისთანობა...

მათი სამღვდელოება ედუარდი მოქალაქეობაშიაც თავდაბლად და მდაბიოდ იქცევა ყველასთან: მღვდელთან თუ ერთან, დიდთან თუ პატარასთან, წოდების და სქესის განურჩევლათ. მწყემს მთავრობას შენიშნავთ მას, მხოლოდ მღვდელ-მოქმედების ასრულებაში და საზოგადოთ თავისს სამსჯავრო სასამართლოში.

მათი მეუფება ლაპარაკობს კარგათ შვიდს ენაზე: გერმანულს, ფრანგულს, ლათინურს, იტალიანურს, ლიტვინურს, პოლონურს და რუსულსა.

პატარობიდგანვე დიდი მოყვარული ყოფილა ეპისკოპოსი ედუარდი მოგზაურობისა დიდის ცნობის მოვვარეობითა, რაიცა ყველა ეს მისი ნალაპარაკევიდანა ჩანა... ჰყვარებია აგრეთვე მონადირობაცა, საიდგანაც ერთ-ერთი მისი მონადირობაც უკვეც გაგვაცნო, თუ როგორ წასულა ის დათვის მოსაკლავად შვეიცარიის ალპების ხევ-ღელეებში, როდესაც თოფით ხელში, ფეხ-და-ფეხ გამოჰკიდებია მას, თვითონ კი გასხლტომია ფეხი იმისთანა გვერდობს და ციციბო ფენილზე, რომ, ერთ გარემოებას რომ არ გაეჩერებია, (მაგ. რო წაქცეულა გულალმა და გადმოგორებულა, ერთათ ერთ ბალახს შეურჩენია გულალმა გაშხლარტული და მასთანავე ძრიელ გაჭიმული, რომელსაც თურმე ეს ძალა და ხერხი აკავებდა, გულალმა გადმოსაბრუნებლად რო ინძრეოდა), მაშინ უფსკრულისაკენ უპირებდა თურმე წაფრთხობასა იმ ხევ-ხუვში, სადაც ქორი ვერ ჩაფრინდებოდა და მისი ძვალ-რბილიც-კი გაუნიორწყალდებოდა თურმე; იმავე ძალ-ხერხით—ცდილა მაღლა ანაცვლებასა და ბოლოს, კიდეც მოუხერხებია ეს, და მის მომავალის ასასრულსაც გადარჩენია, ე. ი. უსულ-პუროთ გამოესალმებას ამ წუთისოფელსა.

ჩვენში, (მოგზაურობაში) რა მცენარეც კი შეხვდებოდა,—მაშინათვე უკვირდებოდა... ბევრის სახელებიც იცოდა; რაც-კი უცნაური შეხვდებოდა (იმას), სხვისი მეოხებით აიხსნიდა და ინიშნავდა უბის წიგნში. შეუმჩნეველი და უყურადღებო არა ურჩებოდა-რა მათ მეუფებასა: არც მინერალოგიიდგან, არც ზოოლოგიიდგან, არც ბუნების სიმშვენივრიდგან და არც ეროვნებისაგან... სუყოველისფერს დიდის გულმოდგინებით იკვლევდა. უმნიშვნელოთ ერთი ნაბიჯიც არ გადაუდგამს ჩვენს ქვეყანაში, რომ თავის უბის წიგნში არ მოეთავსებიოს თავის შენიშვნები.

საზოგადოდ საქართველოს კათოლიკენი დიდი ხნიდგან დაწყურებული იყვენ ეპისკოპოზის ხილვასა, თითქმის 200 წე-

ლიწადი იქნება მას აქეთ, რაც რომ მათ თავეთი მწყემს-მთავრის პირიც არ უნახიათ!.. მას კათედრას ხომ ჩვენი ქვეყანა 400 წლით მოშორებულია და მხოლოდ ახლა ელირსნენ ამ სურვილის განხორციელებას, ეპისკოპოსი ედუარდის მობძანებითა!.. საკვირველია, მრავალ მწყემსთ-მთავრებს სურვებიათ საქართველოს ხილვა, და არც ერთს ხვდენია წილათ, გარდა ედუარდისა, რომელსაც ისეც უყვარდა პატარობიდგანვე მოგზაურობა და აქაც აისრულა ჩვეულებრივი სურვილი მან. ამ ბედნიერების მიზეზათ ჩაითვლება ბათომის ზუბალაშვილის მიერ აგებული ეკკლესია, რომლის საკურთხავად იქმნა მოწვეული სარათოვიდგან, 1903 წ. 4 მაისს; და ამავე მომარჯვებულს დროს იქნენ ბედნიერნი ყველა, საქართველოს კათოლიკენიც, რადგანაც ეპისკოპოსმა კურთხევის შემდეგ, ბათომიდგან დაიარა მთელი თავისი სამწყსო საქართველოს კათოლიკენი და გაიცნა იგინი.

ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსი ედუარდი სარათოვიდგან გამოდგა საქართველოსაკენ, 20 აპრილს, ამა 1903 წ. თბილისში მობძანდა 27 მაისს; აქ დარჩა ორ მაისამდის. სწირა ქართველ კათოლიკეთა ღვთისმშობლის მიძინების ეკკლესიაში; მირონი სცხო ხალხს და აზიარა მრავალი. 2 მაისს კი, დილის მატარებლით წაბძანდა ბათომს ეკკლესიის საკურთხებლად.

2 მაისს სალმაოს, 10 საათზედ ბათომში მობძანდა მათი უსამღვდელოება, რომელსაც თან ახლდა სარათოვის კათოლიკეთა სემინარიის რექტორ-პროფესორი დონ-ივანე ანტონიშვილი, თბილისის ვიზიტატორი ბარანოვსკი, პატრი დამიანე საკაშვილი (ეკატერინოსლავის მოძღვარი), მღ. ივანე გვარამაძე, რომელიც ახალციხიდგან მიხაილოვში დაუხვდა მათ უსამღვდელოესობასა, სტეფანე კონსტანტანეს ძე ზუბალაშვილი (ბათომის ეკკლესიის ამგები) და სხ. სადგურზე ბევრი სამღვდელოება და აუარებელი ხალხი დაუხვდა; მაგ., თ.-ხ.-შურიდგნ დონ მიხეილ (დონ-ივანეს ძმა), ანტონიშვილი; ბლიუმენფელდიდგან (ხერსონის გუბერნიაშია), პატრი გაბრიელი, (მზეჭა-

ბუკი) გვარამაძე, ბაქოდგან პატრი ვასილი მუთაფოვი, თბილისიდგან პატრი ყალაიჯიშვილი, გორიდგან დონ-გაბრიელი ასლანიშვილი, ხიზაბავრიდგან (ჯავახეთიდგან) მღ. მიხეილ ვარძელაშვილი, სოხუმიდგან პატრი პოლონელი, ართვინიდგან ართვინის ოლქის არხიმანდრიტი ემანუელი, ადგილობრივი სომეხ-კათოლიკეთა მღ. თომა იგითხანიშვილი, ალექსანდრეპოლიდგან მღ. მიკირტიჩი და სარათოვის სემინარიის კლირიკები, რიცხვით ათამდის, რომელნიც მღვდლად და მთავარ-დიაკვნად საკურთხებლად იყვნენ მომზადებულნი აქ, და სხ...

ადგილობრივ ქართველ-კათოლიკეთა სახელით მათ უსამღვდელოესობას პურ-მარილი მიართვა მიხეილ სტ—ძე ბეთანიშვილმა ვერცხლის შვენიერის ლანგრითა, რომელსაც შემდეგი ზეწარწერა ჰქონდა: „მათ უსამღვდელოესობას ტირასპოლის, რომის კათოლიკეთა ეპარხიის ეპისკოპოზს ედუარდი ბარონ-დე როპპს, ადგილობრივ ქართველ-კათოლიკეთაგან“.

სადგურიდგან მათი უსამღვდელოესობა წაბძანდა კათოლიკეთა დროებითი სამლოცველო სახლში, (რომელიც ახალი ეკკლესიის ეზოშივეა). იქ მგალობელთა გუნდმა, რომელიც კლირიკებიდგან და პატრებიდგან შესდგებოდა, მუსიკაზე სამადლობელი პარაკლისი გადაუხადეს მათ უსამღვდელოებას. ეპისკოპოსმა სიტყვა სთქვა ფრანგულათ და იტალიანურად, რომელიც დამსწრეთათვის თარგმა ქართულად დონ-ივანე ანტონიშვილმა. აი სიტყვა: „მე მოვედი ახალი ეკკლესიის საკურთხევლად; კურთხევას აღვასრულებთ ზეგ, კვირეს, (4 მაისსა); ხოლო ხვალიდგან, ზოგიერთი კურთხევის კანონების შესრულებას დავიწყებთ წირვის დროს, დილის ათ საათზე; მასთანავე იქნება ვიჯილია, ე. ი. მარხვითი მარხულობა; ვინც აასრულებს ამას სრულს შენდობას მიიღებს იგი ღვთისაგან.

ამასთანავე გეცხადებათ, რომ ორშაბათს და სამშაბათს მირონის ცხება იქნება; მირონს ვცხებთ იმათ, ვინც ლათინის წესის მღვდლებისაგან მონათლული იქნებიან პატარობიდგან რომელთაც არა აქვთ ნება იმ წესის მღვდლებს მირონის ცხებისა; ამისათვის მირონის მცხებელი აღსარება-ზიარებით მოემზადება საცხებათ და ისრე გაწმენდილის გულით იცხებს... ვინც მოუ-

მზადებლივ გაბედავს ამას, იგი მძიმეთ შესცოდებს ღმერთს... ამასთანავე მირონსაცხებლებმა უნდა იყოლიოთ თან, ქალებმა დედობილი და მამებმა მამობილი, ე. ი. მომნათვლელები, რომელნიც იქნებიან ნათლია. თქვენ, მირონ-ცხებულთა და დედობილ-მამობილთა (ურთი-ერთ, ნაცხობ ნათლიათა) შორის, მყარდება სულიერი ნათესაობა, რომელიც იქნება პირველ ხარისხოვნული, და თქვენში შლის ქალის მიცემ-მოცემასა.

რომელიც სომხის რიგის მღვდელისაგან მონათლული იქნება, იმან აღარ უნდა იცხოს მირონი, რადგან სომხის წესის მღვდლებს მირონის ცხების ნებაც აქვსთ, რომელსაც ასრულებენ მონათვლის დროსვე და ამიტომაც გიმეორებთ, იმათ აღარ გაბედონ ცხება მირონისა, რადგანაც ერთხელ მირვნის ცხება არ განმეორდება.

მირონის ცხება არს ღვთის ბეჭედი, რომელიც ინერგება ადამიანის სულში და ღმერთმან დაიცვას იგი ერთხელ ცხებული ქრისტიანე, რომ ჯოჯოხეთში წავიდეს, რაოდენ საშინელებით იმოქმედებს ჯოჯოხეთის ცეცხლი იმ ერთათ-ერთ ცხებულზეაც-კი, და ეს ცხება, რომ განმეორებულ იყოს, რა უსაშინლესი იქნება იმ ორ ბეჭედში, ადამიანის სულში... მაშასადამე, გაფრთხილებით გაფრთხილებთ, არამც და არამც, არ გაბედოს ერთხელ მირონ ცხებულმა განმეორება მისი, თორემ ძალიან დიდს მომაკვდინებელს ცოდვას იქმს!..

ამასთანავე კარგათ იცოდეთ, რომ ნათლია, დედობილითუ მამობილი თავათ მირონ ცხებულნი უნდა იყვნენ, რომ სხვას ნათლიათ დაუდგნენ, ე. ი., ისინი უთუოდ სომხის წესის მღვდლისაგან მონათლული უნდა იყვენ. განა ისიც კი შეიძლება ლათინის მღვდლის მონათლულიც დაუდგეს ნათლიათ, მხოლოთ მაშინ, როდესაც ჯერ თვითონ იცხებს მირონსა და ნაცხები იმ წამსვე სხვას უნათლიებს, როგორც მირონ ცხებული.

რა დაასრულენ სიტყვა, გამობძანდა კარში მათი უსამღვდელოება ბინაზე წასავალად, მარა რა ინახულა შვენიერი ელექტრონით განათებული ეკკლესია, ველარ გასძლო უნახაობა-

და მოისურვა კარის გაღებინება და ნახვა მისი. რამდენიმე წუთით რა ინახულა, გამობრუნდა, და წაბძანდა ნ. საბაევის სახლში, სადაც მისთვის განმზადებული იყო ბინათ სამღედელოები კი „ფრანციის“ სასტუმროში გაემართნენ, რადგან მათთვინ, იქ იყო განმზნდებული ბინა.

კურთხევა ეკლესიისა.

4 მაისსს, კვირას, ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსმა ედუარდმა აკურთხა ბათომის ქართველ-კათოლიკეთა ეკკლესია ყოვლადწმიდის ღვთის მშობლის უმანკო ჩასახების სახელზე.

დილა მშვენიერი იყო. კურთხევაზე აუარებელმა ხალხმა მოიყარა თავი; ტევა არამც ეკკლესიაში და მის გალავანში, არამედ გალავნის გარედ, გძელ და ფართო ქუჩებშიაც კი არ იყო.

ადგილობრივ ხალხს გარე, კურთხევაზე მრავალი სხვა-და-სხვა საქართველოს კუთხეებიდანაც იყვენ მოსულნი: ქუთაისიდგან, თბილისიდგან, ბაქოდგან, გორიდგან, ოზურგეთიდგან (და სხვა-და-სხვა გურიის სოფლებიდგან), სოხუმიდგან, ახალციხიდგან, არდანუჯიდგან, სამეგრელოდგან და სხვა-და-სხვა დაბა-სოფლებიდგან.

კურთხევა დღეს, ისეც მშვენიერი ეკლესია საუცხოოთ მორთული იყო; მეტადრე ეკკლესიის შესავალი კარები, რომელიც მწვანე რტოებით მოაივანებული იყო და ზემოდან დასახურავებული მშვენიერის ფარჩეულითა; ქვემოთ, ძირს-კი მოფიქალებული თავი კიბისა, სულ მთლათ მონოხ-ხალიჩებული იყო, რასაც ეპისკოპოსის წითელ ხავერდით მორთული დასაჯდომი, კლავებიანი სკამი აშვენებდა; ზედ მეტად-კი ზევით, მომწვან-რტოებულ და მოფარჩული სახურავით დაშვენებული მრავალ ფეროვნებით შეხამებული მათი სამღვდელოების ბარონის არმა.

დილის 10 საათზედ, მათმა უსამღვდელოებამ კარ-ჩაკეტილ ეკკლესიაში, ხოლო სამღვდელოების თანადასწრებით, მირონი სკხო ტრაპეზებსა და სვეტებს და მასთანავე ჩაასვენა სამი მარმარილოში ჩანაწილებული ნაწილები; კურთხევისა შემდეგ გამობძანდა გარეთ შემოსილი ეპისკოპოსი, მარცხენა ხელში შვენიერი ბრონზის კვერთხით და მარჯვენაში კი სასხურებლით, და გარემო სამ-გზით შემოუარა ახალ ეკკლესიას ნაკურთხის წყლის სხურებით ეკკლესიის კედლებზე. მათ უსამღვდელოებას, წინ, მგალობელი შემოსილი პროცესია უძღოდა, რომელიც შესდგებოდა მღვდლებისაგან, მთავარ-დიაკვნებისაგან და მცირე დიაკვნებისაგან. პროცესიას ცერემონმეისტრობდა

დონ-ივანე ანტონიშვილი. მათ უსამღვდელოებას ზემოდგან, ხელ-კარავი ჰქონდა შვენიერად თავს დადგმული ოთხი კაცის მიერ, სტ. ზუბალაშვილის დახმარებითა. პროცესიას ვარდს უფენდა პატარა, 5—10 წლის თეთრათ მორთული ქალიშვილებისაგან პატარა გუნდი, რომელთაც მხარზე გადაკიდებული ჰქონდათ პატარა ყვავილებით აღსავსე ,ალათები და უყრიდნენ მაღლა. გალობა ლათინურად და სხვა ენებზედაც სრულდებოდა.

დასასრულ კურთხევის პროცესიისა, ეპისკოპოსმა ბძანა გერმანულათ, ფრანცისულათ და პოლონურად სიტყვა, რაიცა იგივე სიტყვები პროფესორ-რექტორისაგან ე. ი. (დონ-ივანესაგან) გადმოქართულდა დამსწრეთათვის. სიტყვა უმთავრესად შეეხებოდა ახალად ნაკურთხ ეკკლესიის მნიშვნელობასა, თუ რაოდენ ნიჭს და მადლს, თუ შენდობას მიიღებენ ღვთისაგან, ვინც პირველად შევალს შიგ აღსარება-ზიარებით, განწმენდილის გულით; და ვინც ვერ მოასწრო აღსარება-ზიარება, თუ რაოდენ მადლსა და შენდობასავე მიიღებს, მხოლოდ მხურვალებით და სასოებით მიმმართველი ღვთისადმი!.. აქავე დაახასიათა მან ეკლესიის შვენიერება და სისაუცხოვე და მასთან მისი ამგების, ზუბალაშვილის უდიდესი და უხვავრიელესი მოწყალების გაღება, რაიცა დიდი დაუვიწყარი წყაროა უდიადესი ქველმოქმედებისა; და მასთანავე უბედნიერესად დასახა იქაური მკვიდრნი, ქართველ-კათოლიკენი, რომელთა ბედათ ხვდათ უძვირფასესი სტილით აგებული ტაძარი, რომელიც თითით საჩვენებელი არის და კიდევაც იქნება ერთხანათ, არამც მარტო კავკასიაში, არამედ რუსის სახელმწიფოს ბევრს კუთხეთა შორისაც კიო!.. უსურვა მხურვალე გულით და სასოებით ცხონება ამგებელის მიცვალებულთა, ძველთა თუ ახალთა და თავად ცოცხალთა კი, სიცოცხლე ჯანმთელობით და ქონების წარმატებითა, ღვთის მადლებით და ნიჭების აღსავსეობითა; სხვათაც დაავალა, რომ თავისთან ერთად ყველას ელოცნათ და შეევედრებოდენ ზუბალაშვილის ცოცხალთა და მიცვალებულთათვის... დასასრულ, უყურადღებოდ, არც იმ შენობის აგებაზე მომუ-

შავეც არ დატია, ნამეტურ და საკუთრივ პატრი ანსელმო მღებ-
რიშვილი, რომელსაც უდიდესი ღვაწლი მიუძღვოდა მის აგე-
ბაზე. უსურვა სიცოცხლე და უპირველესად-კი გაკურნება,
რადგან მძიმე ავადმყოფი იყო და იწვა ქვეშაგებზე და ვერ
დაესწრა თავის მონაღვაწს ნაგებ ეკლესიის კურთხევაზე, სადაც
შემოკრებილ იყვენ იმ დღეს, სხვანი, ათიათასობით იმის სანახავად
და დასასწრებლად. რა დასრულდა ეს სიტყვები, დასრულდა
ეკკლესიის კურთხევაცა. შემდეგ ეპისკოპოზი შეუდგა ახლად
ნაკურთხ ეკკლესიაში პირველ წირვის თქმასა სამღვდელო
კრებულის თანადახმარებითა, ხოლო წირვამდისინ კი მღ. ივანე
გვარამაძემ შემდეგი სიტყვა სთქვა მარმარილოს ამპიონიდგან.

სიტყვა ქ. ბათუმის ქართველ-კათოლიკეთ ეკკლესიის კურთ-ხევაზედა.

„უფალი ტაძარსა წმიდასა მისსა, უფალი ზეცას არს, საყ-
დარი მისი თვალნი მისნი, დავრდომილსა ჰხედვენ და წამნი
მისნი განიკითხენ ძეთა კაცთასა.“ ფ. 10.

წმიდა კიპრიანე, ბერძენთ მამა-მთავარი, როცა ლაპარა-
კობს ქრისტეს ერთ წმ. კათოლიკე და სამოციქულო ეკკლესი-
აზედ, ასე ამ მაგალითით გვიმარტამს და გვახვდენს ყოველ
კეთილ მორწმუნე ქრისტიანთა: „როგორც მზეს მრავალი შა-
რავანდნი აქვს, მაგრამ ნათელი ერთ არის; მით ხესაც მრავა-
ლი რტოები ასხია, მაგრამ ძალა ერთი აქვს, რომელიც დამ-
ყარებულია მის ერთს ღერძზედა: ასე, ამნაირათ, საუფლო ერ-
თი ეკკლესიაც თავის ნათლოვან შარავანდთა ჰფენს ყოველ-
გან მთელ ქვეყანაზედა!..“

აგერ ქრისტეს ერთი წ. საკათოლიკე და სამოციქულო ეკ-
კლესიის მრავალ შარავანთგანი ერთი შარავანდიც დღეს აქ
გაგვბრწყინებია ჩვენ კათოლიკეთა დიდ სასიხარულოთ და
ნუგეშათ, რომლის საუცხოვო მოყვანილება და სიმშვენიერე
საოცრათ უტკბობს ყოველ კაცს სულს-გულსა და თან რა-
ლაცა ულრმესს მოწიწებულ კრძალვა-რიდს უნერგავს გულში,
როგორც უაღრესი სავანე სახლ-სადგური ყოვლის მპვრობე-

ახალი ბათუმის ეკლესია.

ლის ღვთისა, ცხებული და განწმენდილი ჩვენი ყოვლად სამ-
ღვდელო ტირასპოლის, რომის კათოლიკეთა ეპარხიის ეპის-
კოპოზის, ბარონ, ედუარდ-დე როპპის ლოცვა-კურთხევითა...
რომელიც ღაღადებს ბრწყინვალეთ: „იხარებს სული ჩემი უფ-
ლისა მიმართ, რომელმან შთამაცვა მე სამოსელი ცხოვრები-
სა და კვართი სიხარულისა შემმოსა მე; და ვითაარცა სიძესა
დამადგა გვირგვინი მე, და ვითაარცა სძალი შემამკო სამკაუ-
ლითა“. „სადაც ეწირვის ამიერიდგან იესო ქრისტე მაცხოვარი
მღვდლის მიერ, დღე ყოველ თავის, საუკუნო მამასა, ჩვენს სა-
ოხათ და მიცვალებულთა სალხინებლათ.“

ეს არის ერთად-ერთი დიდებული ბრწყინვალე წმ. ტა-
ძარი ღვთისა, სამარადისიო შეუვალი ბანაკი ანგელოზთა,
განსასვენებელი ყოველთა წმიდათა სამყოფელი მართალთა,
შესახიზარი, მკვიდრი ადგილი, ცოდვილთა მდიდარი საუნჯე
განმაწმედელ და ცხოველ-მყოფელ შვიდთა საიდუმლოთა,
საწურთვნელ-სამქადაგებელო ჭეშმარიტის ღვთის სიტყვისა და
ზეცისადმი აღმავალი ბჭე-კარი სასუფეველისა ღვთისა!..

გვასწავლის წინასწარმეტყველი მეფე დავით: „ეკკლე-
სიათა შინა აკურთხევდეთ ღმერთსა და უფალსა წყაროთაგან
ისრაელისა. მაშ შევიდეთ სასყოფელთა მისთა, თაყვანი ვცეთ
ადგილსა, სადა დადგეს ფერხნი მისნი!“ ვსთქვათ ყოველთა:
„აღსდეგ, უფალო, განსასვენებლად შენდა, შენ და კიდობა-
ნი სიწმიდისა შენისა, მღვდელთა შენთა შეიმოსონ სიმართლე
და წმიდანი შენნი იხარებდნენ, რამეთუ გამოირჩია უფალმან
სიონი და სათნო იყო იგი სამკვიდრებელად თვისსა. სთქვა:
ესე არს განსასვენებელი ჩემი უკუნითი უკუნისამდე ამას და-
ვიმკვიდრო, რამეთუ მთნავს მე, ნადირნი მისნი კურთხევით
ვაკურთხნე და გლახაკნი მისნი განვაძღე პურითა, მღვდელთა
მისთა შევმოსო ცხოვრება და წმიდანი მისნი სიხარულით იხა-
რებდენ“. ფს. 131.

აკურთხე, უფალო, ღვთიულის კურთხევითა შენითა კე-
თილ მოღვაწე აღმაშენებელნი ამა წმ. ეკკლესიისა და აღსწე-
რე ზეციერს ცხოვრების წიგნსა შინა, მიცვალებულთ ზეცას
სასუფეველი შენი დაუმკვიდრე და ცოცხალთ მიეც მადლი

შენნი კეთილს ცხოვრებისა ქრისტიანულად წარმატებულ სათნო ცხოვრებაში სულიერათ და ხორციელათ სანატრელათ ყოველთა კაცთა: მაშენებელ, ხელოსანთა, მუშათა, მოღვაწეთა, შემწეთა, შემწე-მშველელთა და ყოველნაირ მომხმარეთა, მიეც კეთილ-მისაგებელი შენს საქებ-სადიდებლად...

უსმინე, უფალო, ყოველი ლოცვა სათხოვარნი კეთილად ამ წმ. ეკკლესიის ერსა და მათთან ერთათ სხვათა ყოველ მწირთა მლოცველთა შენდა შეწირულ სახმარი თავიანთ სიცოცხლეში სულისა და ხორცის საჭიროებისათვის; დაიცევ, ყოველნი მშვიდობით ერთგულ კაცთ-მოყვარეობითს წმ. სიყვარულში: შეეწიე, მოეხმარე, ყოველ გასაჭირ-შემთხვევაში, იხსენ, ყოველ მავნე მტერთაგან სულისა და ხორცისა, აღხვენ, ყოველი რისხვა, სიბოროტე და ცოდვა მათგან!.. მოჰმადლე სული სიწმიდისა, გული სიმდაბლისა და სიმშვიდისა კეთილ სათნო ცხოვრებისათვის!.. ააცილე, და აარიდე ყოველ ნაირი დამამცირებელ დამამდაბლებელი მავნე განსაცდელნი, მოყენებული მტერთაგან. დევნულება, წინაღმდეგობა, ბრძოლა, სნეულება, ჭირი, სიმშილი, ცეცხლი და ყველანაირი გასაჭირი სისაწყლისა, უმეცრებისა და უზრუნველ-უნაღვლობისა, რათა სცხოვრებდენ უშიშრათ, მშვიდობით მარად შენი წმ. ცვა-მფარველობაში, შენის მადლითა შენს საქებ-სადიდებლათ!..

აკურთხე, უფალო, მიდამონი ამ წმიდა ეკკლესიისა დასავლეთ საქართველოს სამეფოისა, ედემისებრ სამოთხეთ ქცეული ყველანაირი მცენარე ჭინახულეულითა, სადაც დიდ სასიქადულოთ ჩამოუქრის მახლობლათ ედემის სამოთხის პირველ მდინარეთაგანი ფისონი აწ „ჭიჭოხათ“ წოდებული, ამ „ქვიდადათ“ ხსენებულ ქვეყნისა, სადაც სამხთო წერილის თქმულებისამებრ: „ოქრო არის და ოქრო ქვეყნისა მის კეთილ და მუნ არს ანთრაკი (ამეთვისტო), და „ქვა მწვანე“ (იეშმი), „დასამშვენებლად კაცთა შესაქებ“...,აქვე იყო გონიოს სამეფო ქალაქი მესხებისა „ანგიალოთ“ წოდებული, ქსენეფონის დროს, აქვე მოგზავნა დიდმა ალექსანდრე მაკედონელმან თავის მოხელენი მხედრობით ოქროს წასაღებელათ, რომელნიც მესხებმან ამოწყვიტეს!..

აკურთხე, უფალო, ეს ბათუმის ქალაქი ყოველი მისი მცხოვრებლებით და მის გარშემო ყოველ დაბა-სოფლების მცხოვრებნი სულიერის კურთხევითა შენითა!.. განბნეულნი შეუკრიბენ შენს წმ. ეკკლესიასა; განყრილ-განშორებულნი შეუერთე ერთ სამწყსოდ და შეერთებულნი დაიცე, დაიფარე შენს წმ. მადლის სჯულსა შინა, შეუძვრელ შეურყევლად, რათა იდიდებოდეს მარად უკუნისამდე სახელი შენი წმიდა გამაბრწყინებლად წმ. ეკკლესიისა და დიდ სასიქადულოდ თავიანთ ტომ-მოდგმისა და ყოველთა კაცთა, ამინ.

მესხი იე. მღ. გვარამაძე, „ვინმე მესხი“. 3 მაისს 1903 წ. ქ. ბათომი.

2 საათზედ, ნაშუადღევს ყველა დასრულდა.

კურთხევა დღეს, ხუთ საათზე (ზუბალაშვილის ხარჯით) გაიმართა სადილი *) ეპისკოპოსი ედუარდის პატივსაცემლად ქალაქის საბჭოს დარბაზში; ამ დიდებულს სადილზე მოწვეული იყვენ ბათომის ჩინებულნი, როგორც ქალაქის დაწესებულებათაგან, ეგრეთვე სახელმწიფოთაგან, არისტოკრატნი, ვაჭარნი და მთელი სასულიერო კრებულნი; **) სხვათა შორის დაესწრა ბათომის ქალაქის თავი, გუბერნატორი, საფრანგეთის, იტალიის და ავსტრიის ელჩები და სხ.

სადილი ევროპიულად იყო გამართული იქ, სადაც ქართულ მრავალჟამიერსაც მღერიდენ. ითქვა ბევრი გრძნობიერი სიტვები, რაიცა შეეხებოდა უფროორე, ყოვლად სამღვდელო ედუარდის საქართველოში მოგზაურობას, მისდა რწმუნებულ სამწყსო-ეპარხიის საკეთილდღეოთ, თუ როგორ ააფრთოვანა სიხარულსა შინა მკვიდრნი კათოლიკენი თავისი მობძანებით. აგრეთვე შეეხებოდა სტეფანე კოსტანტინეს ძის ზუბალაშვილის გულკეთილობასაცა და მისგან უხვათ გაღებულ მოწყალეობას, რომელმანც აღაგო დაუვიწყარი ძეგლი ბათუმის ქართველ-კათოლიკეთა სასარგებლოდ... მათმა სამღვდელოებამაც სამაგიერო სიტყვის თქმა ისურვა, რითაც გამოხატა უმდაბლესი მადლობა

*) მიწვეულ იყვნენ გარეშენი (არა მკვიდრნიც) სულ 150 სული.

**) იმ ღღეს სადილი ას თუმნამდის დამჯდარა, როგორც ნამდვილ წყაროებიდგან გავიგეთ.

ყველა თავის პატივმცემელთათვის. მასთანავე დაამატა ბ. სტ. კ. ზუბალაშვილის გულკეთილობას და მის უხვს წყალობას, ბათომის კათოლიკეთა საბედნიეროთ, რომ ზუბალაშვილის მიერ აგებული საუცხოვო სტილის ეკკლესია, უკანასკნელთ წილად ხვდათ, რომელიც საუცხოვო რამ არის მთელ რუსის სახელმწიფოში არსს კათოლიკეთა ეკკლესიებ-შორისო. დაახასიათა, აგრეთვე ადგილობრივი ბუნების სიმშვენიერე და სიუცხოვე, რომელიც ხვედრათ მონიჭებია მკვიდრთ, ქართველთ მშვენიერი მთა-ტყე, ველი, ზღვა და მისთანა ბუნების სიმდიდრე-შვენება, რასაც მთელ დედამიწის ზურგზე ბევრნი მოკლებულნი არიან ამისთანა ბუნების ხილვასა... საზოგადოთ, დაახასიათა მთელი კავკასიის სიმშვენიერე, რომელიც აღსავსეა ბუნებრივი საუკეთესო შეხედულობისაგან და მისი თვისებებისაგან, მაგ.: მორთულია ეს, ორ-ზღვას შუა მდებარე ლამაზი და კოპწია ქვეყანა თვალ უწვდენი შესანიშნავი მაღალ მთებისაგან, სადაც, ბევრგან მუდმივი თოვლ-ყინულით მობროლჭყვრიალებულია მისი წვერვალები... ბევრიც ხშირის ტყით მოცულია, რომელიც სიშვენის ელფერს აძლიერებს ბუნებაშივე, მაგ. კლდე, ღრე, ხევი, მინდორ-ველი, რომელიც ყველა ეს, მორწყულია საუკეთესო კავკასიური ცივი და კამკამი წყარო-ნაკადულ-მდინარეებითა... ბუდობს აქ მრავლისაგან მრავალი ფრინველ-ნადირნი, და სცხოვრობენ ორმოც და ათ-ნაირ მოდგმის სხვა-და-სხვა ტომის კავკასიელნი და სხ. დაახასიათა-ხალხის სილამაზე და სივაჟკაცე-სიმარდე და ჰაერის სისაღეც... დასასრულ, დაახასიათა ქართველთა გულ-უხვი მასპინძლობა და დარბაისლობაც თავისთან მხიარულ გულის შეხვედრითა, და ინება პატივმცემელთათვის მადლობის გადახდაც თან.

მეორე დღეს, ე. ი. 5 მაისს აკურთხა ღვდლათ სამი მთავარ დიაკვანი და სამსაც მცირე აღსავალი მისცა; ამათივე დახმარებით 9 საათზე, დილითვე სწირა. ნაწიროობევს კი აზიარა და მირონი სცხო 500 სულამდისინ.

მირონის ცხება 6 მაისსაც გაგძელდა უკანასკნელ დღეს, დილის 8 საათზედ სწირა და ნასაუზმევს, კიდევაც წაბძანდა დილისავე მატარებლით, 11 საათზე ქუთაისში.

სადგურიდგან აუარებელმა ხალხმა გააცილა მათი უსამღვდელოება თავის სამღვდელო კრებულითურთ. ბ. სტ. კ. ზუბალაშვილიც რიონის სადგურამდის მიჰყვა და იქიდგან კი თბილისში წავიდა.

ბათომის, ადგილობრივ ქართველ კათოლიკებმა წასვლის ხანს, მის უსამღვდელოებას მიართვეს სახსოვრად. ჩინებული საჩუქარი; ეს გახლდათ შვენიერი ვერ ცხლის ყდით მოჩუქურთმული ალბომი (500 მანეთად ღირებული) ალბომში მოთავსებული იყო: 1) ბათომის ახალი ნაკურთხი ზუბალაშვილის ეკკლესიის მოკლე ისტორია; 2) საქართველოს მოკლევე ისტორია და 3) ქართველ-კათოლიკეთა მოკლე ისტორია, დაწერილი პეტრე მეფისაშვილის მიერ.

ამაში მოთავსებული იყო სტ. კ. ზუბალაშვილის, პატრი ანსელმო მღებრიშვილის და თვით ეპისკოპოსის სურათებიც.

ქუთაისში მიბძანება ყოვლად სამღვდელო ედუარდისა.

ყოვლად სამღვდელო, კათოლიკეთა ეპისკოპოსი ედუარდი, ნაშუადღევის მატარებელით მობძანდა ქუთაისში, 2 საათზე. სადგურზე აუარებელი ხალხი დაუხვდა; იგი პირდაპირ ეკკლესიაში წაბძანდა, სადაც სამადლობელი პარაკლისი გადაუხადეს. მათმა სამდვდელოებამ სიტყვა ბძანა მირონის ცხების შესახებ, და შემდეგ მონასტერში გამობძანდა, იქ, სადაც ჰქონდა მისაღები ბინა.

ქუთათურმა ქართველ-კათოლიკობამ, საზოგადოდ კარგად მიიღეს და შესაფერი პატივი სცეს მათ უსამღვდელოებას. გაუმართეს ოფიციალური სადილი, სადაც მიწვეული ჰყავდათ ღუბერნატორი, ქალაქის თავი და სხვანი; მასთანავე ჰყავდათ მიწვეული ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოზი ლეონიდეც, მაგრამ, რადგან თბილისში მობძანდებოდა საქმეებისა გამო, სადილზე ვერ დაესწრო მათი მეუფება. სადილზე ბევრი სიტყვები ითქვა...

მეორე დღეს, 10 საათზე სწირა მათმა უსამღვდელოესობამ და სამი მთავარ-კლირიკნი აკურთხა ღვდლათ, რომელთაც მცირე აღსავალი ბათომში მიანიჭა. აღსარება ათქმევია ბევრს, აზიარა და მირონი სცხო 500—600 სულამდის. აქ დარჩა 9 მაისამდის; ხოლო, ამ დღეს კი, შუადღის მატარებლით წაბძანდა გორში. ქუთათურ კათოლიკობამ ეპისკოპოსი ფაიტონებით (გაისტუმრეს) და მიაცილეს რიონის სადგურამდისინ, სა-

ლარიით და იქიდგან-კი, დიდის ამბავით მატარებელით გაისტუმრეს. გასტუმრების დროს, სიტყვები უთხრეს მათ უსამღვდელოებას პეტრე სააკაშვილმა და იაკობ დათებაშვილმა ადგილობრივი ყვავილებისაგან შვენიერი თაიგულებიც მიართვეს. აქავე მოვიყვანთ ერთ-ერთს ამავე სიტყვასაც:

თქვენო ყოვლად უსამღვდელობავ,
მამაო ედუარდი!

ადამიანს თავის სიცოცხლეში ბევრი შესაჩნევი და სასიხარულო დღე შეხვდება ხოლმე, რომელიც წარმოსდგება სხვა და სხვა მიზეზებისაგან; მაგრამ ეს უკანასკნელი სამი დღეა— ჩვენ სულ სხვა სასიხარულო დღეები დაგვიდგა: ჩვენ ველირსენით მას, რასაც ვერ ელირსნენ ჩვენი საუკუნის მამანი და პაპანი... ჩვენ ველირსენით ნახვას უდიდესი სულიერი მამისას და სიხარული გაგვიორკეცდა; მით უფრო, რომ შესრულებულ თქვენ მიერ წირვაზედ ჩვენ ვისმინეთ სამშობლო ენა, რომელსაც ზოგიერთ გამოშვებულს დროს, (სხვა და სხვა მიზეზების გამო) მოკლებულნი ვიყავით... თქვენ, როგორც უმაღლესი სულიერი მამა, აღჭურვილი უმაღლესის ნიჭით, კარგათ გიგრძვნიათ, რომ სარწმუნოების მტკიცე ნიადაგზე დასაყენებლად აუცილებლად საჭიროა სამშობლო ენა.. თქვენ ასრულებთ,—რაც შეასრულეს თერთმეტმა მოციქულმა, როდესაც ქრისტე მაცხოვარმა მოუვლინა მათ სული წმიდა; წავიდნენ სხვა და სხვა ქვეყანაში საქადაგებლად, რათა ეცნოთ სახარება, ექოთ და ედიდათ ღმერთი იმ ენაზედ, რა ქვეყანაშიაც მივიდოდენ...

თქვენისთანა სულიერი მამა ჩვენთვის ძვირფასია, საყვარელო ჩვენო მწყემსო! გთხოვთ და გევედრებით, რომ არ დაგვივიწყოთ; და თუ შემთხვევა მოგეცეთ, კიდევ დაგვხედოთ, და ჩვენც, ვისურვებთ თქვენ სიცოცხლეს მრავალ და მრავალ ჟამიერ!

ეს სიტყვები ქართულათ ითქვა, ხოლო რუსულათ თარგმანი მიეცა პირად ეპისკოპოზსს.

პეტრე ზაქაროს ძე სააკაშვილი, 1903 წ. 9 მაის სად. რიონი (ქუთაისი).

რიონიდგან მათ უსამღვდელოებას თან გაჰყვა ქუთაისის ცნობილი ვაჭარი სტეფანე ფეიქარიშვილი გორში, რომელმანც გზაში (მატარებელში) შვენიერი სადილი გაუმართა ეპისკოპოსსა.

გორში მაბძანება მათი სამღვდელო ეპისკოპოსი ედუარდისა.

9 მაისს, საღამოს მატარებლით მიბძანდა ყოვლად სამღვდელო ედუარდი გორში. სადგურზე ბევრი ხალხი დაუხვდა. გორელებმა სადგურიდგან კათოლიკეთა ეკკლესიაში მიიღეს, სადაც სამადლობელი პარაკლისი გადაუხადეს; აქედგან-კი მონასტერში. აქ, მეორე დღესაც დარჩა. ეპისკოპოსმა მირონი სცხო ხალხს და სწირა ორჯერ. გორელმა კათოლიკებმა დიდათ მიიღეს ეპისკოპოსი და საუკეთესო მასპინძლობაც გაუწიეს დონ-გაბრიელ ასლანიშვილის მეოხებით. 11 მაისს კი გაემგზავრა, საღამოს მატარებელით მათი უსამღვდელოესობა თბილისში.

თბილისში მეორეხელ, მობძანება ეპისკოპოსი ედუარდისა.

11 მაისს, საღამოს მატარებლით მიბძანდა მათი უსამღვდელოესობა, თბილისში, სტ. კ. ზუბალაშვილის სახლში; (პირველშიიც აქ მობძანდა). მეორეხელ, პოლონელთა ეკკლესიაში სწირა ეპისკოპოსმა და მირონი სცხო ხალხსა. საზოგადოთ თბილისელ ქართველ-კათოლიკებმა დიდი პატივი სცეს, მაგ.. 27 აპრილს, გაუწყეს ოფიციალური სადილები... უმასპინძლეს აგრეთვე ადგილობრივ თავად-აზნაურთაც შვენიერი (ოფიციალური) სადილის გამართვით მათ უსამღვდელო ედუარდს. ითქვა დიდად გრძნობიერი სიტყვები, (რომლის გადმოწერა ველარ მოვასწარით, რომ აქ დაგვებეჭდა) და სხ.

11 მაისს, მათი სამღვდელოესობა პოლონელთა წვეული იყო. ამ დღეს, ეპისკოპოსთან სადარბაზოდ ბძანდებოდა ჩვენი პოეტი, თავადი ილია ჭავჭავაძე. ეპისკოპოსი თბილისში 15 მაისამდის დარჩა და შემდეგ კი ლორისაკენ გაემგზავრა თავისი ეპარხიის დასათვალიერებლად.

ეპისკოპოზს ლორისაკენ თან წაჰყვენ ეკატერინოსლავის მღვდელი დონ-დამიანე საკაშვილი ქართულ მოენეთა, სლავიანსკის მღ. ემანუილი და ყირიმის მღ. ა. საფარაშვილი სომხის მოენეთა. ხოლოდ დონ-ივანე ანტონიშვილი, რომელიც მოენობდა ბათუმს, ქუთაისს, გორსა და თბილისში, ის სარათოვში გაბრუნდა თბილისიდგან.

(რადგან ჩემისავე თხოვნით ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსმა ედუარდმა ინება მოეწოდებია ჩემთვის თავისი მოგზაურობის ცნობანი ქ. (ახალციხეს 6 ივნისს), ამისათვის მის ნალაპარაკევს და უბრ. წიგნიდან წაკითხულს მოვიყვანთ აქავე)

ცნობები

ეპისკოპოზისი ედუარდის ნამდვილი მარშრუტისა თავისი საგუთარი უბის წიგნიდან.

16 მაისს მოვედით თბილისიდგან **შაჰნაზარში.** ეს სოფელი კარგა დიდი ყოფილა და მაღლობზეა გაშენებული, მეტადრე ეკკლესია, რომელიც უმაღლესს ადგილიდგან გადმომდგარია. შენობა მიწისაა, უშნო და ულაზათო. შიგ ნაგვით და ტალახით სავსე იყო. წვიმა თურმე თავისუფლად დის შიგა... უწმინდურობა საკურთხეველში მეტი ვნახე. ტრაპეზის საფენები გაურეცხავი იყო, საჭენჭურებს გავდა. ტაბერნაკის მაგიერ უბრალო ყუთი ედგათ, სადაც სიწმინდე ესვენათ. გაჭირვებით ვწირე აქა და ისე წავედით კუჩუმბახში (მუსლუხში), 14 ვერსზეა.

კუჩუმბახი (მუსლუსი). სოფელი მომეწონა მდებარეობის სიშვენიერით და საბალახოების სიმდიდრითა. მკვიდრნი, თუმცა ხვნა-თესვასაც მისდევენ, მაგრამ საქონელის მოშენება უფრო გავრცელებული ყოფილა აქა, რადგან მეტს სარგებლობას საქონლიდგან უფრო ხედვენ... აქ ერთი გერმანელია, რომელსაც ბევრი საქონელი მოუშენებია და ყველაზე მდიდრათაცაა თურმე. რიგიან მდგომარეობაში აქაც არ გვინახავს ეკკლესია, რადგან ესეც შაჰნაზარის ეკკლესიას წააგავდა. იმ ღამეს, ისევ შაჰნაზარში გამოვბრუნდით; მეორე დღეს კი, 17 მაისს, დიდ

ყარაქილისაში წავედით და იქიდგან შიშატფაში და პატარა ყარაქილისში გადავედით.

დიდი ყარაქილისა, შიშატფა და პატარა-ყარაქილისა. აქაური ეკკლესიებიც იმნაირათვე ვნახე, როგორც შაჰნაზარს და მუსლუხში, ოღონდ, გარედგან კი ესენი ირჩეოდენ წინანდელ ნანახი ეკკლესიებიდან იმით, რომ ამის ბანები მწვანე ბალახებით შემოსილი იყო და ზედ მეტათ კი სიბნელეც მეტი იყო შიგ... აქაური მღვდლები გაუნათლებლები ყოფილან პირველ მღვდლებსავით, მარა აქ ზედ მეტად-კი გარყვნილი ყოფილან და ხალხიც ზედ მეტად ზნეობით დაცემულნი. ცხოვრებაც დიდი სანაქებო არ უნდა ჰქონდენ-თვით თავეთებურ სისტემითაც კი. სახნავ-სათესი და საბალახოები კარგი ყოფილა და უხვიც. აქ მალაკნებიც სცხოვრობენ და შეძლებულათაც ყოფილან. ამათი ცხოვრება მკვიდრთ ცხოვრებაზე გაუმჯობესებულია, რასაც თვით მალაკნების შვენიერი შენობები და სუფთათ ჩაცმა-დახურვა ამტკიცებდა. მკვიდრთა გაუგებრობა და ველურობა იმ ზომამდე ყოფილა, რომ სასაფლაოს ადგილები, რომელიც ყველგან წმიდათ დაცული აქვთ, აქ კი იჯარით სცემენ ხოლმე სახნავ-სათესათა.

აქედგან გზების სიცუდის გამო, სულ ცხენებით ვმოგზაურობდით და სარჩაპეტს მივედით.

სარჩაპეტის ეკკლესია მარტო ნანგრევ კედლებისაგან შესდგებოდა, რომელიც გადაუხურავთ ზემოთ, ქოხსავით, წაუყრიათ ცოტაოდე მიწა და მეტიც არაფერი. პირველ ნახვაზე ნამეჩეთარი მეგონა; აქა-იქ ჩამონგრეული ყოფილა. უწმიდურობა ზომაზე გარე ვნახე, მეტადრე საკურთხეველში, რომელიც მეტის-მეტად უღირსოთ იყო დაცული. ხალხიც, მეტადრე ქალები სულ წითელ ტანისამოსში იყვნენ შემოსილნი; შორიდგან რომ ვახლოვდებოდით ამ სოფელს და წითელ სამოსლიანებს ვხედავდი, დიდი შთაბეჭდილება მეძლეოდა მე და ვმხნევდებოდი თან ცნობის მოყვარეობაში, ვფიქრობდი, რაცხა ნაციონალიზმია, აქ იქნება და აქ ვნახავ ნამდვილს ნაციონალურს ტანისამოსსა მეთქი, და დიდათ ვინტერესობდი ასეთი სურათის ნახვაზე, მარა, რაც ვუახლოვდებოდი, თან და თან

აზრები მეცვლებოდა წინააღმდეგ ნაფიქრევისა, და სულ რო ახლოს მივედით, სულ სხვა სურათი დამიდგა თვალ წინ; დამიდგა სისაძაგლე და სურათის სიწამხდრე; თურმე სულ უვარგისი ტანისამოსი ეცვათ და შეუხედავი; უმრავლესთ, სიძველით დახეული და დაფლეთილი ეცვათ და ასდიოდათ საძაგელი სიმყრალე, ასეთი რო სულს ვერ ვითქვამდი თავისუფლადა. ეს სულ მათი სიბინძურის და უწმინდურების გამო ყარდნენ; მე ჩემი თავი მეგონა ნადირებში, ხოლო არა გარეულთა, არამედ შინაურთა შორის. აქედგან ჯანდარს წავედით (სადგურზე), და იქიდგან მატარებლით ალექსანდრეპოლს მივედით, 21 მაისს.

ალექსანდროპოლი. აქ ხუთშაბათი დღე ვიყავით და წავედით ჯერ თაფადოვლაგს და შემდეგ ქავთარლს.

თაფადოვლაგი. აქ ეკკლესია ახალი ჰქონიათ, მაგრამ გრიგორიანების სტილისა. სიბინძურეს თავისი ადგილი — ახალ ეკკლესიაშიაც ჰქონდაო, მარა ჩემ მიერ ნახულს ეკკლესიებს კიდევ ეს შენობა სჯობდა.

ქავთარლი. როგორც დაფადოვლაგი, ისე ქავთარლი უდაბნოს წარმოადგენდა, რომელიც მოკლებული ყოფილა, ტყეს, ბაღებს და ბალახებსაც-კი, სულ სილით მოცული ყოფილა იქავრობა. ერთს მდიდარს, გვარად ნახაპეტოვს, პოლოსას მოუშენებია შვენიერი ბაღი და ბოსტანი დაუთესია, რომელსაც სარწყავი წყალი შორიდგან, თხრილებით გადმოუყვანია აქეთ მხარეში. ამის მიხედვით მკვიდრთაც დაუწყვიათ ასეთივე სასარგებლოს მოშენება, და რო დავინახე იმ მოტიტვლებულ უდაბნო ბუნებაზე მწვანე ბალახი და ხეები, გულიკარდსავით გამეშალა მეტის სიამოვნებისაგან... აქ, თუმცა ეკკლესიას ახალს აკეთებენ, მარა ძველიც ქონიათ-კი, რომლის დასახელება მეტიცაა, რადგანც ახალი ეკკლესიის ნახვაც კი არა სასურველი ყოფილა აქეთ, თვარა, სადღა დარჩეს ძველისა; რასაკვირველია, სიბინძურისა გამო და უღირსად მოპყრობა ღირსეულ წმიდათა სიწმიდისა. აქედგან მუსლუღში წავედით. გზა სულ მაღლა-მაღლა ვიარეთ; თუმცა ცუდი სასიარულო გვქონდა, მარა მწვანეზე-კი იყო. ეკკლესია აქაც ცუდ მდგომარეობაში იყო. აქედგან ყირხში წავედით.

ყარსის ეკლესია ყველაზედ ცუდს მდგომარეობაში ვნახეთ, რადგანაც იქაურებს ლოთი ღვდელი ჰყოლიათ. აქედგან ძითიანგში წავედით, ანუ ბეზარხანაში.

ძითიანგი ანუ ბეზარხანა. ეს სოფელი ძლიერ დიდი ყოფილა; მის ნახევარი კი გრიგორიანებით ყოფილა დამოსახლებული. ეს ორი მორწმუნე: კათოლიკე და გრიგორიანი სომხები სულ იბრძვიან, ჩხუბობენ და უსიამოვნობენ თუ რაზე, ეს გამოურკვეველი ყოფილა მათთვინ; უფრო-კი, შური და მტრობა უნდა იყოს და ერთი მეორის გაუტანლობა... და ამ მხრივ, მართლაც „ბაზარხანა“ ყოფილა აქ. აქაური ეკლესია ერთბაშად მიწაში ყოფილა; რომ შევედი თუ ჩავედი, ისე შემეშინდა, რომ მეტი არ შეიძლებოდეს; მით უფრო—რომ გარეთ ძალიან წვიმდა და ღვარები ჩამოგრიალებდა... აქედგან ისევ ალექსანდროპოლში მივბრუნდით, ყარსში წასასვლელად. ღამის ათ საათამდის ძლივას მივაღწიეთ წვიმის გამო, როგორც იყო სადგურამდისინ, მარა მატარებელს გაესწრო და ჩვენ პირდაპირ თავისუფალს ვაგონში შევედით. წავივახშმეთ პატარა და ამასობაში საქონლის მატარებელი მოგვიბეს და „ტრ-ტრ“ გავწიეთ... ორი საათიდგან წასულნი დილის 10 საათზედ ყარსში მივედით.

ყარსი. აქ დიდის ამბით მიგვიღეს. სადგურიდან ეკლესიაში წავედით და ვწირე. აქაურმა კათოლიკობამ ოფიციალური სადილი გაგვიმართეს, სადაც ღუბერნატორი, ქალაქის თავი და სხვა და სხვა დაწებულებათა მოხელენიც მიწვეული ჰყავდათ. მეორე დღეს, ერთმა მდიდარ შეძლებულმა კერძო პირმაც გაგვიმართა ამნაირივე სადილი იმავე სტუმრებითურთ. ყველა სულ კარგად გვეპყრობოდა და პატივს გვცემდენ, მარა მე, კუდ-მოწყვეტილი მელასავით წაყურებული ვიყავი ამაებზე... ერთი სიტყვით, სულ უგუნებოდ ვგრძნობდი თავს, რადგან ჩემი ეპარხია არ იყო; სითამამეს სრულებით მოკლებული ვიყავი... ვინახულე აქაური სკოლაც, სადაც ბევრი შეგირდები იყვნენ. სკოლის მოწყობილება ულაზათო და უხეირო იყო, სადაც შევნიშნე, რომ სწავლაც იმგვარივე უხეირო უნდა ყოფილიყო. ამ შენიშვნამ ცუდი შთა-

ბეჭდილება მოახდინა ჩემზე, უფრო იმიტომ, რო შესაბრალისად მივიღე იმოდენა მოზარდი წვრილ-ფეხობა, იმ ცარიელა სასწავლებელში, რადგანაც ნაყოფს ვერას მიიღებდნენ მოსწავლენი. სჩანს, ხალხი თვით გაუნათლებელი უნდა ყოფილიყო იქ, რო სკოლის ყადრი და წარმოებაც არა სცოდნიათ. სკოლის შენობა და მონასტრისა მაღალს კლდეში ვაშენებული ყოფილა. ეკკლესია მომეწონა აქა და დიდიც ქონიათ. მეორე დღესაც, დიდის ცერემონიით ვწირე და გავწიე ალექსანდრეპოლისკენვე, უკან, საღამოს მატარებლით. სადგურიდგან დიდმა ძალმა ხალხმა გამოგვაცილა... გუბერნატორიც გამოგვყვა სადგურზე.

ალექსანდროპოლი. აქ შვენიერი ეკკლესია აქვთ და დიდიც. ამაში დიდის ცერემონიით ვსწირე. მკვიდრთ კარგად მიგვიღეს და ოფიციალური სადილიც გაგვიმართეს. დღე, ორშაბათი იყო. აქედგან ყარაქლისაშიაც მივედით და ბოლოც ეს იყო ლორისა და ალექსანდროპოლის სადეკანოებისა.

ყარაქალისის ეკკლესიაც ცუდათ ვნახეთ; აქედგან ახალქალაქის სადეკანოსაკენ გავსწიეთ და **ბალუტლს** მივედით; აქ შვენიერი ეკკლესია ქონიათ. მღვდელი კი დიდი მოლაპარაკე ჰყოლიათ, რომელმანც ბევრი საყვედურები მომაყარა ქართველ-კათოლიკეთა მღვდლებზედ; მეტადრე ივ. გვარამაძეზედ, რომელიც ეკკლესიაში არ გვიშვებს საწირავათაო, რაიცა სიცრუე გამოდგა. აქედგან მამღლა-მაღლა გავწიეთ და მივედით **შიშთაფას.** ეკკლესიას არა უჭირს რა აქა და გზებიც კარგი ჰქონია; აქედგან გზა-ტკეცილით გავწიეთ და მივედით **ყაიეული ყაზანჯში.** ეს სოფელი მაღლობზეა გაშენებული. აქ ახალი ქვის ეკკლესია შენდება. კედლები უკვე აყვანილი იყო, მხოლოდ სახურავი აკლდა. აქ 800 სულამდის მცხოვრებელია. აქვთ პატარა ეკკლესიაც, მარა 30 სული ძლივს დაეტევა შიგა. ამ პაწაწინა ეკკლესიას ფანჯარაც არა აქვს,—ბნელა; საკურთხეველი კი კარგი ჰქონია,—შვენიერად ნაგები და მოწყობილი. აქ ვწირე და წავედით აქედგან წვრილ სოფლებში: **ყარბულაღს** და **ქორადბირს.**

ეარბუღადში და ქოჩადბირში ეკლესიები არა ჰქონიათ; წირვა-ლოცვას ასრულებენ სამლოცველო სახლებში, რომლებიც მეტად ბნელი ყოფილა და მივარდნილ მიწაში აშენებული. აქედგან **დარაქვეგში** წავედით. იქ ეკლესია კარგი იყო, საკურთხეველი კი ცუდი... აქედგან, სამ ვერსის მოშორებით გაიშლება შვენიერი საბალახოები, სადაც ზაფხულობით სხვა და სხვა სოფლებიდგან საქონელს მოერეკებიან თურმე საბალახოთა მეზობელნი სოფლელნი, უფროორე **თაფანთღახიდგან;** აქედგან **თითოხარაბას** მოვედით. აქაც ეკლესია არ ჰქონიათ და უბრალო მიწურს სამლოცველო სახლში ასრულებენ წირვა-ლოცვას. ეს სოფელი ახალქალაქის და ალექსანდროპოლის მაზრების საზღვარს შეადგენს (ორ ვერსზე). აქედგან გზა-ტკეცილით გავსწიეთ ეშტიისკენ. ყველგან ტბები, ჭაობი და ცუდი ტალახიანი ადგილები ყოფილა.

ეშტია დიდი სოფელი ყოფილა, რომელიც შაჰნაზარს არ ჩამორჩება სივრცით. აქ დავბინავდით ღამე. მეორე დღეს, დილით ვსწირე. ეკლესიას არა უჭირს-რა, საშუალო პიროებებშია მისი ყოველივე მდგომარეობა. ადგილმდებარეობა ცუდი არ იყო, მარა წვიმამ კი გემო არ გვიჩვენა. სიცივე საგრძნობელი იყო, თუმცა თბილათაც გვეცვა ტანთ. მეტადრე ცივმა ქარმა დაგვალურჯა (ქარი უწყვეტლივ ქროდა ნაავდრზე). აქედგან წავედით ახალქალაქისკენ, მივედით **უჯმანას.**

უჯმანა პატარა სოფელი ყოფილა და პატარავე შესაფერი ეკლესიაც ჰქონიათ. ეკლესია კარგია. აქედგან **თოჩიოს** მივედით, რომელიც ვერსნახევრზე ყოფილა. აქ, 1899 წლის, მიწის ძვრისაგან დანგრეული ეკლესია ქონიათ და ამის გამო წირვა-ლოცვას სამლოცველო სახლში ასრულებენ. აქედგან ბავრაში წავედით სულ ქვეით-ქვეით ვმგზავრობდით ზემოდგან.

ბავრა დაბალზეა. ღვდელი არა ჰყავთ და ხულგუმოელი მღვდელი უვლის იმათ. ეკლესია კი ორი ქონიათ. ორივეს არა უჭირს რა, თუ რომ თვითონ კარგი იყვენ. საკურთხეველი ბინძურათ იყო დაცული, აქედგან **ხუჯგუმოში** წავედით და იქიდგან **კარტიკამში.**

კარტიკამი. კარტიკამში მისვლამ ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, რადგან ყველა ისე დაწუნებულ ჩემ მიერ

ეკლესიებზე უარესი ცუდს მდგომარეობაში მყოფი ეკლესია აქ დამხვდა. ეკლესია ეკლესიას არა ჰგავდა; რომ შევედი შიგ; აგერ ჩამონგრეული, იგერ ნაგვების გროვა, კიდევ აგერ ტალახი, ტბა, მეორე კუთხეს სიბნელე, ტრაპეზის სიბინძურე და საზოგადოთ საკურთხევლის საკურთხეველობის არგვანება; ტაბარნაკი არ ქონდა და ვკითხე აქაურს მღ. იაკობ იგინხანოვს, სიწმინდე არ გისვენია, რატომ უტაბარნაკოთ გაქვს ეკლესია მეთქი? მან ტრაპეზს ზემოთ კიდობანსავით დადგმული ყუთი მიჩვენა, რაზედაც ცალ კუთხეზე სიწმინდე ჰქონდა დასვენებული, ისიც თავდაუხურავათ და მეორე მხარეს კი ჯვარცმა...

ნახეთ, მღვდელი 46 წელიწადია აქ მსახურებს, 1,160 სულ მცხოვრებ შორის, დაბერებულა, და არ იცის საკურთხეველი როგორ შეინახოს, და ისიც რომ სიწმიდე ყუთზე არ დადგმება და მერმე პირღიაში; ნაცვლათ ახალი ეკლესიის აგებისა რაცღა ქოხი ქონიათ, იმასაც ანგრევს და უწმიდურათაც და ულირსოთ ინახავს... მეტადრე ტრაპეზსა, რაზედაც გაურეცხავი და გაჭუჭყიანებული ჩაყვითლებ ლი საფენები ეფინა, ერთ სიტყვით, ყოველივე მღვდლურის ზრუნვას მოკლებული ჰქონია თავისი ეკლესია და მოვალეობა; მას მხოლოთ უზრუნია თავის ოჯახისთვის, რომელსაც გაუკეთებია კარგი სახლი და კარი; შეუძენია ხარ-კამეჩები და მიწა-მამულები; უზრუნველ უყვია თავისი ოჯახის საქმე და ცოლ-შვილი ხოლო აუცილებელი წმიდა მოვალეობა სასულიერო მამობისა კი გაუქელია ფეხ-ქვეშ, მერმე და ნახევარ საუკუნის განმავლობაში ნამსახურს, ერთ ადგილზე ადამიანსა... ერთი სიტყვით, გაკეთების მაგიერ, სულ გაკეთებულიც უქცევია და წაუხდენია. ვერ ვწირე აქ სიბინძურის გამო და წაველი საწირავათ **ვარგავანში.** აქ ეკლესია კარგი სტილისა ყოფილა, მომეწონა, მარა სიწმიდე დაცული ერთიანათ არ ყოფილა. ვწირე, ვისაუზმე და წავედი ვარგავში.

ვარგავი პატარა სოფელი ყოფილა 20 მოსახლეთურთ, აქ ორი სამი ქართველი მართლ-მადიდებელიც ყოფილან. აქაურები უეკკლესიოთ ყოფილან, მარა წირვა-ლოცვას სა-

მლოცველო სახლში ასრულებენ. ეს შენობა მეტათ დაღუ-ბული ყოფილა ყოველიფრით და წირვა-ლოცვაც ძვირათ ქონიათ თურმე, რომელთაც ხიზაბავრელი მღვდელი უვლით; გვიან-გვიან ნახულობს თურმე ვარგავს მოძღვარი; აქედგანვე იმ საათში ხიზაბავრაში (მივედით 4 ვერსზეა).

ხიზაბავრა მეტად შვენიერი ყოფილა. სოფელი მაღლობს გადასახედზე გაშენებულია, მეტაადრე ეკლესია. წინ მინ-დორი გაშლილია სულ სახნავ-სათესი და უკან კი უმაღლესი ქედები ქონია მოკრული ამ სოფელს. აქაური ეკლესია ახალი ყოფილა და დიდიც. ძალიან მომეწონა ყველა ჩემ მიერ ნა-ხულ, სომეხთ რიგის ეკლესიებზე უფრო, მარა სტილი ვერაა სანაქებო. შიგ მომეწონა მეტაადრე საკურთხეველი, რომე-ლიც წესიერად დაცული ყოფილა სისუფთავით და ღირსე-ულად ყველა თავ-თავის ადგილას. ეკლესიაში ხატები ბევრი ყოფილა. მიმიღეს დიდის სიხარულით და კარგათ. მეორე დღეს, 1 ივნისს, დიდის ცერემონიით ვსწირე უშველებელ ეკ-კლესიაში, ვაზიარე 200 სულამდის და ნასადილევს გავსწი-ეთ ალასტანში.

ხიზაბავრაში მიბძანება ეპისკოპოსი ედუარდისა.

ორიოდე სიტყვით მეც განვამარტებ ეპისკოპოსის ყოფ-ნას ხაზიბავრში, რადგანაც მე თვითონ დავესწარი მათ მეუ-ფების მობძანებაზე.

ახალი ნაშუადღევი იქნებოდა, რომ მაღალს, ვარგავის უღელტეხილიდგან გამოჩნდა ეტლები, რომელთაც წინ 20—30 ცხენოსანი მიუქროლებდა. ეს ცხენოსანნი ხიზაბავრე-ლებივე იყვნენ, რომელნიც ეშტიას წინა დღიდგანვე შეეგებნენ ეპისკოპოზს. მამა მიხეილ ვარძელაშვილმა თვისი მგალობლები შვენიერად გამოაწყო, მეტადრე ყმაწვილები, რიცხვით თორმე-ტი, რომელთაც ყვავილები ხელთ ეჭირათ და უფენდნენ წინ ეპის-კოპოზსა, მთელი სოფლის სივრცეზე, სადაც ეპისკოპოზს უნდა გამოეარა; აქ-იქ გზის ორივე მხარეს, ვერს ნახევარზე, ქალი და კა-ცი დაჩოქებული იყვნენ რომელთა შუა დაფენილი იყო მწვანე ბალახი და ზედ კი ღინღილო, სოსან-ყაყაჩო მოყრილი და ასე დი-

დებით გამოატარეს ეპისკოპოზი ყვავილების ყრით ეკკლესიამდი. ეკკლესიაში გადიხადეს სამადლობელი პარაკლისი და შემდეგ ბინად თავისს სახლში მიიღო მღვდელმა, რომელიც საუცხოვოთ, აზიურათ ჰქონდა მონახალიჩებული და სუფთათ. იმ დღეს დიდებული სადილი მიართვეს (ევროპიულად) მათ მეუფებას და ისევე მეორე დღეს. ითქვა სადილზედ ბევრი გრძნობიერი სიტყვები; სხვათა შორის წარმთსთქვა მამა მიხეილ ვარძელაშვილმა, ათაბეგოვმა, ალექსანდრე ხუციშვილმა და კ. გვარამაძემ. სიტყვები შეეხებოდა, უფროორე იმ უზომო სიხარულს მკვიდრთადმი, რომელიც მათი მეუფეობის მობძანებით გამოწვეულ იყო; თან უსურვებდნენ ხშირად მობძანებას წეს-რიგის დასაცველად, მის სამწყსოს შორის და დასამშვიდებლად ქართველ კათოლიკეთ, და სომეხ-კათოლიკეთ, ურთ-ერთ შორის გამოწვეულ უწესოებისა გამო... მოვიყვანთ აქავე კონსტანტინე გვარამაძის მოკლე სიტყვას, რომელიც სადილზე მოახსენა მათ უსამღვდელო ეპისკოპოზს.

მწყემსო კეთილო!

თქვენმა ფეხის შემოდგმამ ჩვენს ქვეყანაში დიდათ აღაფრთოვანა მკვიდრნი კათოლიკენი, რომელნიც უხსოვარ დროიდგანვე მამა პაპით ჩვეულნი — დარწმუნებულნი იყვნენ ელირსებოდნენ თავეთი მწყემსთ-მთავრის ხილვას, და აი, თქვენმა — მობძანებამა ამიტომ მიგვცა დიდს ნეტარებასა.. გვანეტარა მეტადრე თქვენმა გამომეტყველმა სახის ხილვამ, საიდგანაც ნათლათ გამოსჭვრის და გამობრწყინავს უმოწყალესი კაცთ მოყვარული სათნოება, რომელიც დიდს იმედს იძლევა, რომ მოუღებს ბოლოს ჩვენს დაუბოლოვებელს ქართველ-კათოლიკეთ და სომეხ-კათოლიკეთა შორის ატეხილკამათს და უკმაყოფილებას, რომელიც ზნეობრივათ გვცემს ჩვენ ორთავ, და, გვაუბედურებს სული კერძოთაც-კი... იმედია, თქვენი მამობრივი უმოწყალესი კაცთ-მოყვარეობა მიაქცევს ყურადღებას ამ აუტანელს და დამცემს გარემოებას და გვიხსნით ჩვენ ორს ბედშავ და ბედკრულთ ამიერ შეწუხებისაგან და იმიერ სულის წაწყმედისაგან, რისთვისაც ჩვენ ქართველ-კათოლიკენი დავალებული ვიქნებით ვიყოთ მუდამ თქვენი მლცცველი *).

მესხი კონსტანტინე ივანეს ძე გვარამაძე; 30 მაისს 1903 წ., ს. ხიზაბავრა.

---

*) ეს სიტყვა ქართულათ ითქვა, მარა ნათქვამი რუსულად ეპისკოპოსს მიერთვა, რომელიც მანვე წაიკითხა და სამაგიერო პასუხათ ინგბა შემდეგი სიტყვის თქმა. იხილე აქავე სიტყვის თქმა.

ავტ.

კ. გვარამაძის პასუხად

სამაგიერო უსამღვდელოესობის სიტყვა.

მე დიდათ ვაფასებ, ჯერ ერთი რომ ჩემს მოგზაურობას აძლევთ მნიშვნელობასა და მეორეთ იმიტომ, რომ ცნობის მოყვარეობით აღჭურვილი ყოფილხართ ყველა ქართველნი და დიღი დაკვირვებულნი თქვენი ცხოვრების სიავ-კარგის მსვლელობაზე; ეს იმის ნიშანია, რომ შეგნებული ყოფილხართ და სწავლა-განათლების სხივი გდევთ, რის შეძენასაც ორივე ხელით ეწაფებით; მეტად სასიხარულოა და საამო ეს ჩემთვინ... მხოლოთ სამწუხაროა-კი, რასაც ამოსტირთ და ამოჰკვნესთ გრძნობიერად... მე, კაი ხნიდგანვე მესმის თქვენი, ქართველ და სომეხთ შორის უსიამოვნება, რასაც საშინლად ვსწუხვარ და აი, სწორეთაც ამ მიზეზებითა ვარ მე ამ ჩემ ეპარხიაში წამოსული, რო მივცე ამ ნაკლულებას რაიმე საშველი. სულ არა იყოს რა, ჩემს აქ მოგზაურობას ის ნაყოფი ექნება სამერმისოდ, რომ, ამ ერთ საქმეს მაინც საბოლოოდ მოუღებ ბოლოს ორივეთა სასარგებლოდ; ეს ასეცაა, მარა თავი და თავი ამ საქმისა ისევ თქვენით მოხდება. ეჭვს გარეშეა, თქვენ თუ მშვიდობით და ტკბილათ იქნებით, უთუოდ თქვენ თქვენს ენას მოიპოვებთ, ე. ი. რასაც ეძიებთ და სომეხნიც კი თქვენ საკუთრებას (ენას) ვერ წაგართმევენ; ეგეთი ბრძოლა კი თქვენ, ორთავ გავიწყებთ დედა აზრს თქვენი საქმის განვითარებისას... მე კი ყოველ შემთხვევაში მზა ვარ შუამდგომლობის გაწევისავთის, სადაც ჯერ არს; სრული იმედიც უნდა ვიქონიოთ ღვთით, რო ყველა იქნება წესიერათ, ხოლო აჩქარება კი დაგვაგვიანებს!..

ვისურვებ, ბ-ნ გვარამაძის სიტყვის და სურვილის განხორციელებას! (აიღო ღვინით ჭიქა და მარცხნით მღ. ა. საფარაშვილს*) და ემანუილს მიუწკარუნა პირველად და შემდეგ ყველა დანარჩენთ).

ეპისკოპოსმა წასვლის დროს, დიდი მადლობა გამოუცხადა მღ. ვარძელაშვილს და ხალხს, რო ერთმანეთის დახმარებით შვენიერი ეკკლესია გაგიკეთებიათო, რისთვისაც დიდი

---

*) მღ. საფარაშვილი ქართველია (ძველათ ხიზაბავრელი) და ახლა კი სომხობს; ეს ეპისკოპოსმაც იცოდა. კ. ბ.

მადლობელი ვარ თქვენი და მეორე მადლობასავე გიცხადებთ, რო ჩემი მოსვლა გაიხარეთ, რომელიც დავიმტკიცე მითი, რომ ახსარებით შემეგებენით და ყველამ იზიარეთ თავი ჩემგანო; ამისთვის მეც არ დაგივიწყებთ თქვენ, რისთვისაც გადაგხატამთ ყველას. დადექით, გამოსაჩენ მადლობ ადგილზე... უთხრა, გახსნა აპარატი და გადახატა ყველანი. წასვლის დროს გამოგვემშვიდობა, ჯვარი დაგვწერა ყველასა და წაბძანდა. ხიზაბავრელებმა სოფლიდგან სულ „ვაშას“ ძახილით და თავეთი ცხვრული ქუდების მაღლა სროლით გააცილეს სოფელს და იქიდგან მეცხვარეებმა და მეხრეებმა ვარგავის საზღვრამდისინ მიაცილეს; ხოლო ცხენოსნები ალასტნამდინ გაჰყვნენ; მღვდელი ვარმელაშვილი კი ბაკურიანამდინ, ე. ი. ჯავახეთის საზღვრამდის.

ალასტანი. ალასტანის ეკკლესიის ! ტილი მომეწონა; იმ ღამეს იქ დავრჩით. მეორე დღეს, ორ ივნისს ვსწირე, კისადილეთ და წავედით ტურცხს.

ტურცხის ეკკლესიაც დიდი სანაქებოდ არ მინახავს, მარა არც ისე დაქვეითებული იყო, როგორც სხვა ეკკლესიები ვნახე სუსტათ. აქედგან ბაკურნისკენ გავსწიეთ. იმ ღამეს ცხრა წყაროს მაღლობს სადგურზე გავათიეთ; მეორე დილას, 3 ივნისს შეუდექით ბაკურიანის უღელ-ტეხილის შეღმართსა. დილის საათის 4 არ იქნებოდა კიდევ, რომ შეუდექით აღმა-აღმა: მე, საფარაშვილმა, საკაშვილმა, ემანუელმა, ვარძელაშვილმა და სერაბინმა (ახალციხის მღვდელმა). ყველანი მალე დაიღალენ. მე და სერაბინი კი, ისევ მივექვშვინებოდით აღმა-აღმა მთისკენ როდესაც ჯერ მზე კიდევ ამოსული არ იყო. როგორც იყო ავედით უღელ-ტეხილის წვერვალზე, მარა ჩვენც ჩვენი კი გავათავეთ!.. ჩემზე უფრო მუხლ-მაგარი სერაბინი იყო, როგორც ახალგაზდა, ის უფრო ჩემზე უკეთესად, ადვილად და გაუჭირვებლივ ავიდა, მარა არც მე დავარდნილვარ ისე, როგორც ჩვენი მხლები მღვდლები დაეცნენ; იმათ მაინც ვაჯობე მე მოხუცმა (51 წლის კაცმა).

ჯერ ნისლის ბუნდოვანობით მოცული იყო მწვერვალი უღელ-ტეხილისა და ამიტომაც შორეულ ბუნებას ნათლად

ვერა ვხედავდით კიდევ, მზის ამოსვლისათვის უნდა დაგვეყურა. სიცივე მეტად საგრძნობელი იყო ჩვენთვის; თბილათ ჩაცმულიც ვიყავი ზამთრის ტმნისამოსში, მარა მაინც გვაკანკალებდა; ცეცხლზე გათბობა ერთათ ერთი სასიამოვნო იქნებოდა, ისე შეგვცივდა, მეტაადრე მაშინ, როდესაც მგზავრობიდგან კარგა შევისვენეთ.

მზეც როდესაც ამოვიდა და ბუნდოვანობა გაჰფანტა, დავინახეთ მთელ გორიზონტზე ჩვენ წინ, მაღალ-მაღალი კავკასიის მთები და ქედები, რომლებიც თოვლით შემოსილიყვნენ; მაგ. ელბრუსი და ყაზბეგი ჩრდილოეთზე და აღმოსავლეთზე კიკასპის მხრის ქედები. ბუნება მთისა, მეტადრე დილისა შვენიერი და საამო იყო ივნისის პირველ რიცხვებში; იმ ზომ მომეწონა, რომ აპარატით გადავიღე „ზაფხულის მთის ბუნება“. იქიდგან გადავედით „ცხრა-წყაროს“ ხევში, დაბალზე. აქ ვნახე აქეთ, შვიდამდის წყარო, იქით ტბა დიდი და მას შემდეგ ორი წყარო კიდევ. „აი, ცხრა წყარო“ მეთქი, დავიძახე: ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი, რვა და ცხრა; სწორედ აქედგან უნდა იყოს „9 წყარო“ დარქმეული მეთქი... ბაკურიანის სიშვენემ შვეიცარიაში ალპებზე მოგზაურობა გამახსენა... არ ჩამორჩება ბევრი აქაური სურათები შვეიცარიის შვენიერს სურათებსა... აქედგან მივედით ბაკურიანის სადგურზედ და იქიდგან ბორჯომს გავწიეთ მატარებელით.

ბორჯომი შვენიერი კატარ-ნარი და ალაგ-ალაგ ნაძვ-ნარი ადგილი ყოფილა. სულ ხეობაა, რომელიც მაღალით-მაღალ ქედებით მოცულია, ის ხევი, სადაც მტკვარი მომდინარეობს; აქ ერთ ღამეს დავრჩით. ვიზიტი გაუკეთეთ „ველიკი კნიაზს“ დიდს ნიკოლაი მიხაილის ძეს, რომელმაც დიდებით და თავდაბლად მიგვიღო (3 ივნისს).

აქედგან ახალციხისაკენ გავემგზავრეთ, ხეობით, 4 ივნისს ნაშუადღევს. (ახალციხის ეკკლესიები კი აღარ დამიწერია. რადგან მე მითხრა: თქვენც კარგად იცით და რაღას გაწერიებთო). აქედგან, 6 ივნისს წავედით და მოვიარეთ:

სხვილისი. ნახევარ საათს დავრჩით. ეკკლესია ახალი ყოფილა; არა უჭირს-რა; აქედან **ნიოხრებს** მივედით, შემდეგ

წყალ-თბილას, აბათხევს, აქ ვისადილეთ; შემდეგ **წინუბანს** და ბოლოს კი **ვალეს** და იმავე დღეს, საღამოთი, ახალციხესვე მოვბრუნდით. ვალის ეკკლესია შვენიერი ყოფილა, შიგაც არა უჭირს რა, მარა *) მღვდელი სტეფანე ზაქარათი მეტად დაბერებიათ, რომელსაც ერის შევლა აღარ შეძლებია. დანარჩენი ეკკლესიები კი ვერ იყვნენ კარგა დაცული, ბევრი ნაკლი ჰქონდა.

ხვალ კი წავალ **უდეს** და **არალას**, იქ, ღვთით, ვწირავთ და ვისადილებთ და მერმე **აბასთუმანში** მივალთ,— დავრჩებით ორ სამ დღეს. აქედგან უღელ-ტეხილით **ბაღდადზე** (იმერეთით) **რიონის სადგურს** მივალთ და იქიდგან **თბილისისკენ** გავემგზავრებით, სადაც რაოდენიმე დღეს დავრჩებით და იქიდგან სამხედრო გზით **კავკავით** მოვიარ **ჩრდილო კავკაზიასაც**, სადაც ერთ თვეს კიდევ დავყოვნდები და შემდეგ **სარათოვისკენ** გავემგზავრებით ღმერთის შეწევნით.

რა დაასრულა თავისი მოგზაურობის ამბავი, მაშინ შევეკითხე მე, თქვენო უსამღვდელოებავ, როგორ მოგეწონათ კავკასიის ბუნება და ან რა აზრის ბძანდებით შვეიცარიის ბუნებასთან, შედარებით, რომელი სჯობიან, კავკასია თუ შვეიცარია მეთქი? მიპასუხა: კავკასია ბუნების სიმშვენიერით და სიმდიდრით არ ჩამორჩებოდა შვეიცარიის ბუნებას, თითქმის აჯობებდა კიდევაც, თუ რომ, თვით კავკასიის მკვიდრთ არ დაემახინჯებინათ კავკასიის, ადგილობრივი ბუნება, მაგ. აქ გაუჩეხიათ და მოუსპიათ ბევრგან ტყე გამრავლების მაგიერ; გაუშენებიათ შვენიერ ადგილას იმისთანა უშნო ტალახ-მიწის სახლი რომელიც ერთიანათ აუშნოებს აქაურობას და ამახინჯებს ბუნებას; ზოგან კიდევ საბალახო ადგილები დაუხნავთ დასათესად და მისთანობა... ასე, ამ გვარობით კავკასიის საუკეთესო შეხედულობა მთლათ დამახინჯებულა. შვეიცარიაში კი რაცაა ხომ მშვენიერი შეხედულობისაა და რაც ბუნებით უშნო შეხედული ყოფილა, ის ადამიანის ხელს ისე დაუმუშავებია და გაუშვენიერებია, რომ ბუნების სიშვენიერეზე უფრო წაუჯობნია. ასე

*) მღ. სტ. ზაქარათი კიდეც გადაიცვალა იმავე თვეში, 25 ივნისს.

ამგვარად ვიტყვი, რომ კავკასიის ბუნება ბევრად ჩამორჩება შვეიცარიის ბუნებასა შვენიერებაში.

განვაგრძობ ისევ მე და განვამარტებ ეპისკოპოზის მოგზაურობასა იმასაც, რაც თვით აღარ უამბნია და მე-კი კარგად ვიცი მისი სინამდვილე. დავიწყოთ **ახალციხეში** ეპისკოპოზის მიღებიდგან.

4 ივნისს ბორჯომით ახალციხეში მობძანდა ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსი ედუარდი. გზაში, „აწყვერსა“ და „წნისსა“ ბევრი ახალციხელნი მიეგებნენ ფაიტონებით და ცხენებით. წნისს, სადაც გააჩერებინეს ფაიტონები, გზატკეცილზე, გაუშალეს ხალიჩა, სადაც გადმობძანდა ეტლიდგან მათი უსამღვდელოესობა და ამთხვევია ახალციხიდგან შეგებებულს ხალხს. ქრისტესია გვარამაძემ სიტყვა უთხრა, აი სიტყვა:

თქვენო უსამღვდელოებავ!

დიდად ბედნიერი ვარ, რომ წილად მხვდა ახალციხის ქართველ-კათოლიკეთა სახელით მოგიძღვნა სალამი ჩვენს დედა ენაზედ და მოგილოცავთ მშვიდობით მობძანებას ჩვენს ქალაქში. *)

კავკაზიის კათოლიკენი რამდენიმე საუკუნეობა მოწყვეტილნი იყვნენ ეპისკოპოზის ხილვისაგან, მაგრამ ჩვენ ბედნიერნი ვართ წინაპარზედ, რადგან გველირსა ნახვა ჩვენი მწყემსმთავრისა. ეს ახალციხე ის ისტორიული ქალაქია, სადაც პირველად გამრავლდა კათოლიკე ეკკლესიის შვილნი, ის მხარეა, საიდგანაც მოეფინა საქართველოს სხვა ადგილებში კათოლიკენი; ეს ის კუთხეა, სადაც მრავალნი დევნულნი მღვდელნი და ერნი თავს შეიფარებდნენ; და იგივე ის სამწყსოა, რომლის წინაპართ მტკიცედ დაიცვეს კათოლიკე ეკკლესიის დოგმები და დაღვარეს სისხლი ქრისტესთვის... აგერ იმ დევნული სამწყსოს ცხოვარნი მოგეგებებით თუმც ღარიბულად, მაგრამ აღფრთოვნებული სიყვარულით და პატივისცემით კ , ვისურვებთ ყოველ კეთილს თქვენი უსამღვდელოებისათვის.

---

*) ეს სიტყვები ლათინურად ითქვა.

კავკასიის რომელ მხარესაც დაადგით თქვენი მადლიანი ფერხნი, ყველანი აღავსეთ სიხარულით და ნუგეშითა. მაშ მწყემსო კეთილო! გარდაავლე ბრწყინვალე თვალნი თქვენს დაცვივნულს ცხოვართა, გვანუგეშე და გაგვამხნევე! მიხედეთ თქვენს უფლებას და მოხედეთ ჩვენს საჭიროებასა, (მწყემსო კეთილო“*) (თავი და ბოლო ფრაზა ლათინურათ ითქვა).

ქრისტესია გვარამაძე, 4 ივნისი 1903 წ. ქ. ახალციხე.

ახალციხეში აუარებელი ხალხი დაუხვდა ეპისკოპოზს. მიიღეს გალმა, ღვთის მშობლის მიძინების ეკკლესიაში, სადაც სიტყვა ბძანა მისმა უსამღვდელოესობამ.

სიტყვა ეპისკოპოზისა ახალციხის ღვთის მშობლის მიძინების ეკკლესიაში.

აგერ ორი თვეა, რაც ვმოგზაურობ ლორსა, ალექსანდრეპოლსა, ახალქალაქსა, თბილისსა, ქუთაისსა და სხ. შემოვიარე ოთხი სადეკანო და ყველგან ვნახე, რომ ქრისტიანობა მტკიცედ დაცულა. ეს დიდათ მახარებს მე. მახარებს, მარა ერთი გარემოება კი მაწუხებს დიდათ; ქართველ-კათოლიკენი და სომეხ-კათოლიკენი გადაკიდულნი ყოფილხართ ერთმანეთზე; ერთი თქვენგანი ცდილობთ ენის მოპოებას, ე. ი. საბძანებლო ენაზე ლოცვა-ვედრებასა ღვთისადმი და, მეორე კი უშლით დედა ენაზე ლოცვა-ვედრებასა... პირველთათვის კანონიერია, რადგან დედა ენაზე, ანუ გასაგებ ენაზე სურთ ლოცვა, (რაიც უნდა ესმოდეს მლოცველსა) და უკანონოა ის, რომელნიც უშლით ამ უკანასკნელსა. თუმცა ჩემთვის ყველა ერთი ხართ, არ ვარჩევ მე ენას: ქართველია, სომეხია, პოლონელი, თუ გერმანელი ეს სულ ერთია ჩემთვინ; მე, მხოლოდ უპირატესობას ვაძლევ, მტკიცე სარწმუნოებას, რომ დაცული გქონდეთ წმიდათ ყველასა ეს... ქართველთათვის სამართლიანია ამაზე ბრძოლა, რომ გასაგებ ენაზე ცდილობთ ღვთის ვედრებას და მე,

*) ეს სიტყვები ითქვა ლათინურათა და ქართულათაც.

სწორეთაც უნდა ვეცადო, რომ ყველას თავის ნებაზე ჰქონდეს ლოცვა-ვედრება და არც უნდა სხვამ დაუშალოთ ესა.

ეცადეთ, კიდევ მშვიდობიანათ და სიყვარულიანათ ყოფნას ერთმანეთთან სარწმუნოების მხრივ, და მაშინ, თქვენ ენასაც მოიპოვებთ პირველნი და მეორენიც არ დაუშლით ამას, რადგან ურთიერთ შორის საზარალო არა იქნება-რა... ამას გაიგებეთ კარგად,— მშვიდობიანობაში და სიყვარულიანობაში; ბრძოლა კი და გავიწყებთ ყველას, რადგანაც როს იბრძვით— კარგავთ გრძნობას და სინიდისს... მეც ვეცდები ამ საქმის უკმაყოფილების საბოლოოთ მოსპობას ორთავ საკეთილდღეოთ და სულის საცხონებლადა...

გარდა ამისა, გავიგე რო ადგილობრივ სასულიერო მმართველობას სამი უღირსი პირი გაუგზანიათ საზღვარ გარეთ და უკურთხებიათ ღვდლათ; რომელთა კურთხევაც უკანონოა და უღირსო. ამის მომქმედი—შეჩვენებაშია... აგრეთვე ის პირებიც, რომელთაც მიიღეს და აწირვინეს ამათ ეკკლესიებში; მე ამ პირებს არ ვაჩუქებ არასოდეს თავიანთ დანაშაულობასა უსასჯელოთ, მარა, რადგან პირველად მომიხდა აქ მოსვლა,— არ მაძლევს გულის ტანჯვა, რომ პირველ შეხვედრაზევე მოგეპყრათ სასტიკათ.... მაინც არ მოეტევებათ ჩემგან ეს დანაშაულობანი, თუ არ მოვლენ ჩემს წინაშე, როგორც დანაშაულნი, თუ არ მომთხოვენ სულით და გულით ბოდიშსა... მაშინ შეიძლება ვაჩუქო. ხოლო ახალი ნაკურთხნი-კი არ მიიღებიან სამსახურში არას დროს უკანონოთ მოქცევისათვის და იმათ არც ბოდიშის მოხდა უშველისთ. შეუძლიათ მიმართონ მას, ვინც აკურთხა...

აქედგან მიხ. მეფისაშვილის ქვრივის სახლებში მიიღეს, სადაც ჰქონდათ განმზადებული ბინა. აქ დარჩა ოთხ დღეს. კარგი პატივი სცა ხალხმა (ყველა ეკკლესიების ერთათ შეერთებითა).

მეორე დღეს, 5 ივნისს, წმ. ზიარებათ დიდის პროცესიით სწირა ეპისკოპოზმა წმ. ჯვარის ეკკლესიაში... შემდეგ ყველა ეკკლესიებშიაც სწირა, გარდა ივლიტის ეკკლესიისა. ვარდის ფენობაზე სახარებები ოთხ ენაზე წაკითხული იქნა ეპისკოპოზის ბძანებითა. პირველათ ქართულ ენაზედ მღ. ივ.

გვარამაძემ წაიკითხა, მეორე სომხურად საფარაშვილმა მესამე ბერძნულად ლაზარე გოზალაშვილმა და მეოთხე ლათინურად დონ-დამინე სააკაშვილმა.

ქართველ-კათოლიკობამ ერთობ სურვილი გამოუცხადეს ეპისკოპოზს ლათინის წესსზე გადასასვლელად სომხურის წესიდან. მსურველი 10,000 მიაწევს. *)

ეპისკოპოსმა დიდი ცვლილება მოახდინა ახალციხეში, სასულიერო მმართველობა შესცვალა ახალ წევრთ მმართებლობაზე და ბევრს მღვდლებს შენიშვნაც მისცა და გააფთხილა ზნეობრივ გასწორებაზე.

აქედგან ეპისკოპოსი უდეს წაბძანდა ორშაბათს, დილას 6 საათზე. იქ ახალ ეკკლესიას აკეთებენ ძველი ეკკლესიაც იყო, მარა არ იწირებოდა სიპატარავისა გამო და ამისთვის კალოზე (გარეთ), კარაპანში ინება წირვა მათმა უსამღვდელოებამ. აქვე ისადილა. უთხრეს სიტყვები მასწ. ივანე ბარიკალაშვილმა, ეკმრიგებელმა მოსამართლემ ყიფშიძემ, მასწ. ჩილინგრიშვილმა და სხვათა. უდიდგან არალს წავიდა, და იქიდგან კი აბასთუმანს; აქ სამს დღეს დარჩა. აბასთუმნის ქართველ-კათოლიკობამაც კარგი პატივი სცა ეპისკოპოზსა კარგი სადილების გამართვით. ეკკლესია აქ თუმცა ხისა ნახა ეპისკოპოსმა, კარლო მღებრიშვილის მიერ აგებული, მაგრამ სუფთათ კი იყო და მადლიერი დარჩა მისი. იაბანოა ეპისკოპოსმა აქაურ აბანოებში და აქედგან ულელ-ტეხილით ზეკარში წაბძანდა. ერთ-ორ დღესაც იქაურ წყლებზე დარჩა (გოგირდის წყლებია იქაც, აბასთუმანსავით) და შემდეგ (ბაღდადზე) რიონს წავიდა. ბაღდადელ კათოლიკებს, თურმე ვერ გაეგოთ ეპისკოზის მიბძანება და პატივი ვერ ეცათ. რიონიდგან დილის მატარებლით წაბძანდა გორში 13 ივნისს, სადაც მიწვეულ იყო თურმე ამილახვარიდგან (მთავარმართებლად ნამყოფისაგან). ორ დღეს დარჩა გორში, ხოლო შაბათს, თბილისში მობძანდა, სადაც ხუთშაბათამდის დაჰყო. ხუთშაბათს, 17 დილის შვიდ საათზედ, ნაწირობევს გაემგზავრა კავკავისკენ სამხედრო გზით.

---

*) 4 ივნისს დილით, მათი მეუფება ვიზიტათ ბძანდებოდა მღ. ივ. გვარამაძესთან („ვინმე მესხთან"), სადაც ისაუზმა და დაათვალიერა ისტორიკის არხეოლოგიური და მინერალოგიური კოლლექციები.

ბ. სტ. ზუბალაშვილი.

თბილისში დიდი ამღვრეულობა მოხდა ქართველ და სომეხთ კათოლიკეთა შორის, რადგანც სომეხნი ეკლესიას სთხოვდენ ჩამოერთმიათ და ქართველნი კი არ ანებებდენ. ჩვენ სულ არ შეუშვებთ სომხებს ეკლესიაში, თავეთი აიგონო, იძახდენ ქარველ კათოლიკენი; ხოლო ეპისკოპოსი ურჩევდა დროებითი, ახალის აშენებამდის მიეღენ ქართველთ სომეხნი, მარა არა ყაბულობდნენ ქართველნი... ისინი (სომეხნი) არ აიგებენ და ვერც მოვიშორებთ მერმე, ახლა თუ შეუშვითო.

წასვლის ხანს დიდი ამბით გააცილეს ეპისკოპოსი ხალხმა და სამღვდელოებამ თბილისიდგან. რადგან ვილნაში გადაჰყავდათ ეპისკოპოსი ედუარდი და აღარ სტოვებდნენ სარათოვში კავკასიის ეპისკოპოსად, ამისთვის შემდეგი სიტყვა მოახსენა მღვდელ-მთავარმა გამმსტუმუებელთა: მე, მართალია, გადავყევარ (მგონი), მთავრობას ვილნაში და აღარ ვიქნები თქვენი ეპისკოპოსი, მაგრამ იცოდეთ, რომ თქვენი პატივის ცემა ჩემდამი იმზომს დიდია, რომ შეუძლებელი იქნება ამის დავიწყება... მე თქვენივე ეპისკოპოსათ რომ დავრჩენილიყავი, შეიძლებოდა ვერც მოვსულიყავი ამის მეტათ აქეთ, მარა ახლა რახან თქვენი აღარ ვიქნები, აქეთ წამოსვლა უფრო ადვილი იქნება ჩემთვინ და თქვენი ნახვაცა, აბასთუმან-ბორჯომის წყლებზე, სადაც ხშირათ ვიარ საწამლავათო. ისე, მეც გთხოვთ, რადგან ვილნა შუა ადგილი და გზაა მთელ რუსეთის სახელმწიფოში, რუსეთში მოგზაურობისა და საზღვარ გარეთ, ევროპაში რკინის გზით, ვისაც გზა დაგირჩეთ მობძანდით ხოლმე ჩემთან... ყველა კავკასიელისთვის, რა დროც იყოს,ღია იქნება ჩემი სახლის კარიო. ბოლო ს. ზუბალაშვილს უდიდესი მადლობა უძღვნი უზომო პატივისცემისათვ-ს და ერთობ ყველასა, რადგან დიდის სიყვარულიანობით იყო მიღებული და პატივისცემით თვით უკანასკნელ სოფელშიაც კი. *)

ორიოდე სიტყვა ბათომის (ქართველ-კათოლიკეთა), სტ. ზუბალაშვილის მიერ აგებული ეკკლესიის აშენებაზე.

რ-ც ბათუმი რუსმა შეიერთა ოსმალოსაგან 1878 წლიდგანვე ახალციხელ ქართველ-კათოლიკებმა დენა იწყეს ბათომში

*) ეპისკოპოზი ედუარდის ბარონ-დე როპპის მობძანება საქართველოში ქართველ-კათოლიკეთა დაუჯდა 50,000 მანეთამდე.

ავტ.

სავაჭროდა. იმდენი გადასახლდა, რომ შესამჩნევად, ამათ ქუთაისიდან გადასახლებული ახალციხელებიც წაემატა და მართლაც შესაჩნევლად გამრავლდენ. ესენი ართვანელების მიერ აგებულ ეკკლესიაში დაიარებოდნენ წირვა-ლოცვაზე მარა, დედა ენაზედ ქადაგების და სახარების მოუსმენელობითა და მოენე მღვდლის უყოლობით წუხდენ; ბოლოს ესეც მიენიჭათ მათ. 1890 წ. პატრი ანსელმო მღებრიშვილი საჰაეროთ მოვიდა ბათომში და აღარც გაუშვეს ის... ამ ეკკლესიაში ასრულებდა იგი წირვა-ლოცვას ერთ ხანათ; მარა მერმე ვერ მოთავსდნენ ქართველ-სომეხ-კათოლიკენი ერთ ეკკლესიაში და აირივ-დაირია იმათი მონასტერი. საქმე იქნობამდე გამწვავდა, რომ აღარც ქართველებმა იკადრეს იქ შესვლა და კიდეც რომ შესულიყვნენ, აღარც სომეხნი შეუშვებდნენ. ქართველებმა მალე გამოიგონეს ცალკე თავეთი ახალი ეკკლესიის აგება. ბ. ნიკო საბაევის (ცნობილ ბათომის ვაჭარის) მეოხებით რისთვისაც შესდგა კომისიაც სააზრუნველად ეკკლესიის აგებისათვის და დაიწყეს მოქმედებაც... საბაევის მეოხებითვე, ქალაქისაგან ადგილი დაითმეს ეკკლესიის ასაგებელად 400 კვად. საჟ., ერთი 200 საჟ. თვითონ იყიდეს აქა-იქ შეგროვილ ჯამიდგან და ასე გაიმზადეს ეკკლესიის ასაგებელი ადგილი.

კომისიას უნდოდა შენობის ასაგებლად ფულის შოვნა, მაგრამ საძნელოდ სახავდა კი. ნიკო საბაევი და მღ. მღებრიშვილი წავიდენ ზუბალაშვილთან (სტეფანე კოსტანტინეს ძესთან) და სთხოვეს ეკკლესიისთვის შემწეობის აღმოჩენა. ეს დრო, ის დრო იყო, როდესაც ზუბალაშვილი ეკკლესიის აგების თადარიგში იყო თურმე, მისი განსვენებული დედის ანდერძის თანხმად, რომელსაც თურმე აღთქმა მიეცა ღვთისთვის კიდევ იმ დროს, როდესაც ზუბალაშვილს ნავთის წყაროები ამოუჩენელი ჰქონდა ბაქოში და ეძებდნენ დიდის საფასებით კი, ხარჯავდენ უზომოთ და არ იქნა იმისი ამოჩენა. სტეფანეს კოსტანტინეს ძის დედას, ელისაბედს ბევრი ხარჯების შემდეგ, ეგ აღეთქვა ღვთისთვის თუ ამოაჩენდა ნავთის წყაროებს, ერთი შვენიერი ეკკლესია აეგო, სადაც საჭირო იქნებოდა. მართლაც ისმინა ღმერთმა და ნავთის წყაროები აღმოუჩინათ. აი,

ეს აღთქმავე აუსრულა დედამის... ამისათვის მიმმართველთ სტეფანე კოსტანტინეს ძემ ულაპარაკოთვე ამოუღო ჯიბიდგან 15,000 მან. და მისცა მათ საძირკვლისთვის და დანარჩენიც შეჰპირდა, რაც დაიხარჯებოდა მიეცა ყველა, რისთვისაც კრედიტი გაუხსნა ასიათასობით სახელმწიფო ბანკში. გახარებულნი მღებრიშვილი და საბაევი იმ დღიდგანვე შეუდგნენ საძირკველის ჩაყრას 1888 წ. და შეუდგნენ შენობასაც და აი, ის შენობაა, რომელიც ბათომის რკინის გზის სადგურიდგან 100 საჟენზეა ლამაზი წერწეტა ეკკლესია რკინის გზის პირად, მისავალზედ რომ ხედავთ... შენობა დამთავრდა 1903 წ., ე. ი. ოთხ წელში. დაჯდა სულ 200,000 მან. ეს ეკკლესია ერთად ერთი შენობაა, არამც კავკასიაში, აგრეთვე ბევრ რუსის სახელმწიფო კუთვნეებაშიაც კი იშვიათია ხიშვენიერით. შენობა გოტიკურ-ვიზანტიის სტილისაა. სულ ბიტონით ნაგებია, ხოლო სანათურ კარებთანა და საფიგურო მოსახმარში კი სულ წითელ მოჩუქურთმული ქვებით შეხამებულია, რომელიც დიდს შვენებას აძლევს, ისეც შვენიერ შენობასა. გარედგან შესავალ კარებს მარჯვნივ და მარცხნივ მომაღლოთ ნახავთ ორ საუცხოვო თეთრი ქვისაგან გამოქანდაკებულს ძეგლს, ერთს მარჯვნივ წმ. ნინოს, საქართველოს განმანათლებელს და მეორე ანდრია მოციქულს.

ეკკლესია დიდია, სადაც 5000 სულზე მეტი დაეტევა; მაგ. სიგძით 11 საჟ. აქვს, სიგანე 10 საჟ. და სიმაღლე 21 საჟ. ეზოც მაღალი ბიტონისავე კედლებით შემოზღუდულია რკინის მესრებით. რაც გარედგან შეხედულება აქვს, ამ ეკკლესიას,— გაასკეცებით შიგნით უფრო მოწყობილი და ულამაზესია.

მთელი კედლების სივრცე ქვეით, კაცის სიმაღლის ზემოთ, სულ შვენიერი საღებავ-ფერად წამლებით ნახატია შვენიერი ხელოვნებითა: ქრისტე, ღვთისმშობელი, მოციქულები, მოწაფეები და სხვა და სხვა წმიდანები ნახატი; საუცხოვოთ მოარშიებულ მოვარაყებულია. კაცის სიმაღლეზე კი სულ შავი მარმარილოს გარნეზებითაა აყვანილი და ძირსაც ასევეა დაფენილი; სვეტები და ტრაპეზები, ამპიონითურთ სულ თეთრი მარმარილოსია. შვაში საუცხოვო ბროლის და ბრონზის ჩა-

947.922
Z445

მოკიდული ჭაღითაა დაშვენებული, რომელიც ელექტრონით ნათლდება ტრაპეზებით და კედლებითურთ. მაღლა, ჩარდახში ახალი სისტემის უშველებელს მუსიკას უჭირავს იქავრობა, მეორე სართულზე. შესავალ კარებში, ძირს, შემდეგ მოვარაყულს წარწერას ნახავთ ქართულათ და ლათინურად: „მოვედით და თაყვანი ვსცეთ და უგალობდეთ უფალსა“.

შესავალ კარების ორივე მხარეს: „ტაძარი ესე ყოვლად წმიდა ღვთის მშობლისათვის ზღუდითურ აღვადგინე მე სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილმა საცხონებლად სულთა, ჩემთასა, მშობელთა და დათა ჩემთასა“. ზარებზე შემდეგი წარწერაა: „ზარები ესე შევწირე მე სტეფანე კოსნტინეს ძე ზუბალაშვილმა ჩემ მიერ აგებულ ბათომის ქართველ-კათოლიკეთა ეკლესიას“. ჭიშკრის ზემოთ წარწერა: „12 ივნისი 1898 წ.— 21 ივნის 1902 წ.

სტეფანე კოსტანტინეს ძე ზუბალაშვილი ცნობილია, როგორც უდიდესი, ქველ მოქმედი ქართველი-მილლიონერი. მას ბაქოში დიდი ნავთის წყაროები ამოუდის საკუთარს ადგილებში, რომელსაც თვითონვე აწარმოებს.

იმან ტფილისს სათავად-აზნაურო სასწავლებლის შენობის ასაგებათ შესწირა 50,000 მან., ტფილისის ქართველ-კათოლიკეთა ღვთის მშობლის მიძინების ეკკლესიის განსაახლებლად 15,000 მან. ხიზაბავრის სკოლის, ქალების სახელსაქმო განყოფილების შენობის ასაგებლად, 1,000 მან. და სხ.

სტ. კ. ზუბალაშვილის ვრცელს ბიოგრაფიას ცალკე დავბეჭდავთ მალე.

ასეთის უხვის მოწყალებისათვის დიდი მადლობის ღირსია ბ. სტ. კ. ზუბალაშვილი ყველა ქართველთაგან. აგრეთვე მღ. ა. მღებრიშვილი და ნ. საბაევიც მადლობის ღირსნი არიან თავეთი შრომისთვის და ღვაწლისათვის, რომელთაც ეკკლესიის აგაბაზე მიუძღვით ბათუმში.

მესხი კ. ივ-ძე გვარამაძე.

ივნისის 13, 1903 წ. ს. მაკვანეთი (გურია).

947.922
3 445